# მესაკუთრე

№ 10
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს | 11-12 დეკემბერი | 1996 წელი

# ტერი ადამსი კვლავ თბილისშია

კასპიის ნავთობის ტრანზიტის პროექტი საქართველოში გაიგივებულია ქვეყნის სტაბილურობის გარანტიისა და სწრაფი განვითარების პერსპექტივებთან. ცნობილია, ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი ამ პროექტის განვითარებისადმი.

აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის პრეზიდენტის, ბ-ნი ტერი ადამსის ამჟამინდელი ვიზიტის მიზანია, ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის მიმდინარეობისა და სუფსის ტერმინალთან დაკავშირებული საკითხების საქართველოს ხელმძღვანელობისათვის გაცნობა.



ბ-ნ ტერი ადამსთან ერთად, დელეგაციის შემადგენლობაში არიან კონსორციუმის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი - ბ-ნი ჯონ ჰოლისი და კონსორციუმის სხვა წარმომადგენლები.

დელეგაცია შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს, ბ-ნ ნიკო ლეკიშვილს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შედგა პროექტის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების დასავლეთის მარშრუტის პრეზენტაცია. აღნიშნულ პროექტში კონკრეტულადაა განხილული მარშრუტებისა და სამუშაოების მოცულობის განვითარების პერსპექტივები.

ვიზიტის ბოლოს, აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის წარმომადგენლები მოინახულებენ ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანას და დაესწრებიან საწარმოს 50 წლისთავის იუბილეს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მილსადენის მშენებლობის ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების ვადად განსაზღვრულია 1997 წლის 8 მარტი.

აღნიშნულ პერიოდამდე, უცხოური მხარე გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს იმ მიზნით, რომ საფუძვ-

(დასასრული მე-2 გვ.)

# საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი ექნება

***"საგადასახადო კოდექსი" - დოკუმენტი, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს "სამეურნეო კონსტიტუცია". ამდენად, გასაგები ხდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის შედგენას და შემდგომში ფუნქციონირებას. ეს ქვეყნის ხელმძღვანელობასაც, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ესმის და 8 დეკემბერს გამართული პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს სხდომა სწორედ "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" პროექტის განხილვას შეეხო.***

ამ საკითხზე მოკლე მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ. აღინიშნა, რომ კოდექსი 20 კარისაგან, 60 და თავისაგან 577 მუხლისაგან შედგება (სარეზერვო მუხლების გათვალისწინებით). მინისტრმა არ გაუშვა ხელიდან საშუალება კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ახლის უპირატესობისათვის ძველ კანონმდებლობასთან შედარებით და განაცხადა, რომ კოდექსი დახვეწილია, ცალსახაა და დაზღვეულია ორაზროვანი გაგებისაგან (ეს რბილად რომ ვთქვათ, ტრაბახი იყო და ამაში შევეცდები ქვემოთ დაგარწმუნოთ).

კოდექსის პროექტში გადმოცემულია საერთო დებულებები, ამ კოდექსით რეგულირებადი ურთიერთობები, გადასახადების დაწესებისა და გადასახადების გადახდევინების იურიდიული საფუძვლები. განსაზღვრულია საგადასახადო პროცედურების როლი, საგადასახადო სამსახურის უფლებები (ვიტყოდი ცოტა მომეტებულადაც კი).

პროექტის თანახმად შემცირებულია გადასახადების რაოდენობა, კერძოდ გაუქმდა: ა) გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის; ბ) გადასახადი საწვავ-საპოხი მასალის რეალიზაციისათვის; გ) გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მიმდებარე ზოლში მიწისქვეშა კომუნიკაციების ექსპლუატაციისათვის და სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების განთავსებისათვის; დ) სამედიცინო გადასახადი (კონსოლიდირებულია სოციალურ გადასახადთან); ე) ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის გადასახადი კონსოლიდირებულია აქციზთან).

ცვლილებებია საწარმოს მოგების გადასახადის საკითხშიც. ყველა კატეგორიის გადამხდელისათვის დადგენილია ერთიანი განაკვეთი - 20% (მოქმედი კანონმდებლობით 10 პროცენტია).

დამატებული ღირებულების გადასახადი ითვალისწინებს გადამხდელთა სერტიფიცირების საკითხს, კერძოდ, მხოლოდ სარეგისტრაციო სერტიფიკატის მფლობელს აქვს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის უფლება. სწორედ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს მყიდველისათვის დღგ-ის ჩათვლის საფუძველს. მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, კოდექსი ითვალისწინებს დღგ-ის გამოანგარიშების ერთიან წესს ყველა კატეგორიის გადამხდელისათვის, შემოღებულია საქართველოში არარეგისტრირებული არარეზიდენტი პირების მიერ გაწეული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის მექანიზმი. შემოღებულია გადასახადის ახალი სახე - ზემოგებაზე გადასახადი. იგი დაუწესდება იმ მოსარგებლეებს, რომლებიც წიაღისეულის მოპოვებას და გადამუშავებას ახდენენ უკეთეს ბუნებრივ პირობებში.

გაუქმდა მოძრავი წყაროებიდან გარემოს გაბინძურებისათვის, საწარმოო ნარჩენების განთავსებისათვის, გარემოში ძლიერი და მაღალტოქსიკური პესტიციდების შეტანისათვის გადასახადები - დარჩა მხოლოდ სტაციონალური წყაროებიდან გარემოს გაბინძურებისათვის გადასახადები.

კოდექსის სამოქმედოდ შემოღება 1997 წლიდანაა განსაზღვრული და მან უნდა დაარეგულიროს ნებისმიერი ურთიერთობანი იურიდიულ, ფიზიკურ პირებსა და სახელმწიფოს შორის. ამდენად, უნდა იყოს ყოვლისმომცველი და ფუნდამენტური.

ბუნებრივია, სამინისტრომ დიდი მუშაობა გასწია და ამის არდაფასება უმადურობა იქნება, მაგრამ არის ისეთი მუხლები, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვს, ზოგიერთი კი სულაც სიცილის ხასიათზე დაგაყენებს.

წერილმა ემოციური ხასიათი რომ არ მიიღოს, შევეცდები ყველა სადავო (ჩვენი აზრით) საკითხი მუხლობრივად განვიხილოთ.

კარი I. ზოგადი დებულებები. თავი 1. საქართველოს საგადასახადო სისტემა. მუხლი 3. გადასახადის დაწესებისა და გადახდის იურიდიული საფუძვლები. პუნქტი 4. "... ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებასა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ ცალკეული გადასახადების მიხედვით შეცვალონ ამ კოდექსით განსაზღვრული განაკვეთები".

ჯერ ერთი, გაურკვეველია, რომელ "კომპეტენციაზეა" საუბარი. თუმცა, ეს საკითხიც რომ გადაწყდეს, მაინც საჭიროა მოხდეს დაკონკრეტება, რომელ გადასახადებთან მიმართებაში შეიძლება მიეცეთ მათ ასეთი უფლება. არსებობს საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები და მოსაკრებლები.

თუ კოდექსს პარლამენტი ამ სახით მიიღებს, გარწმუნებთ, რომ აჭარაში, იმერეთში და თბილისში სხვადასხვა

(დასასრული მე-2-3 გვ.)

# ნოემბერში ბიუჯეტის შემოსავლებმა 30 მილიონი ლარი შეადგინა

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების საერთო მოცულობამ 1996 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 434,5 მლნ ლარი.

აღნიშნული თანხიდან ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებისათვის მიმართული სახსრების მოცულობამ შეადგინა 218,5 მლნ ლარი, საიდანაც 165,7 მლნ ლარი არის საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული სესხი, 37,7 მლნ ლარი - მსოფლიო ბანკიდან მიღებული კრედიტი, ხოლო 15,1 მლნ ლარი კი - თავისუფალი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი.

ცენტრალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებისა და გრანტებით მობილიზებულმა სახსრების საერთო მოცულობამ შეადგინა 216,0 მლნ ლარი.

სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული სახსრების სპეციალურ ანგარიშზე არსებული 7,9 მილიონი ლარისა და ევროგაერთიანების საპარტნიორო ფონდის სპეციალურ ანგარიშზე მიღებული შემოსავლების - 13,0 მლნ ლარის ჩათვლით ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ფაქტიური მოცულობა შეადგენს 237,6 მლნ ლარს.

ნოემბრის თვეში მიღებული საკუთარი შემოსავლების მოცულობამ პრივატიზებიდან მიღებული სახსრების სპეციალურ ანგარიშზე, საპარტნიორო ანგარიშზე და გრანტების სახით მიღებული შემოსავლების ჩათვლით შეადგინა 36,5 მლნ ლარი.

საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დაზუსტებული საგეგმო მაჩვენებლის შესაბამისად ნოემბრის თვეში საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული უნდა იქნეს 35,9 მლნ ლარი. დღეისათვის, როგორც ზემოთაღნიშნულიდან ჩანს,. ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშზე მობილიზებულია 36,5 მლნ ლარი, რაც შეადგენს თვის საგეგმო მაჩვენებლის 101,7%-ს. ამასთან უნდა ითქვას, რომ სავალუტო ფონდის ბოლო მისიის

(დასასრული მე-2 გვ.)

**სააქციონერო საზოგადოებების თავკაცთა ყურადღებას მივაპყრობთ...** იხილეთ მე-4 გვერდი

## ნომერშია:



თბილისში დადის აჩრდილი — გვ.4


ერიდას ვაშლი მიგორავს — გვ.5


ბანკები კლიენტებად იწვევენ მოზარდებსა და ახალგაზრდებს — გვ.6


ღმერთო წამაქციე... და ფული მომეცი — გვ.8


ნომერშია:

# ნოემბერში ბიუჯეტის შემოსავლებმა 30 მილიონი ლარი შეადგინა

(დასასრული)

რეკომენდაციით, ნოემბრის შემოსავლების მობილიზაციის კრიტერიუმად აღებული მაჩვენებელი ცენტრალური ბიუჯეტისათვის შეადგენს 32 მლნ ლარს და თუ ამ მაჩვენებლის მიხედვით ვიმსჯელებთ, განვლილი თვის შესრულება 114%-ს შეადგენს. დეკემბრის 4 სამუშაო დღის მიხედვით საშუალო დღიურმა შემოსავალმა 750 ათასი ლარი შეადგინა. დეკემბრის თვეში დარჩენილ 20 სამუშაო დღეში ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული უნდა იქნეს საგადასახადო შემოსავლების სახით 28 მლნ ლარი. გარდა ამისა, ევროგაერთიანებიდან უნდა მივიღოთ დაახლოებით 14 მლნ ლარი გრანტების სახით. აგრეთვე მსოფლიო ბანკის კრედიტის მეორე ტრანში - 37 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხებიდან უნდა დაიფაროს ეროვნული ბანკის სესხი - 25 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო დარჩენილი თანხებით სრულიად შესაძლებელი იქნება ცენტრალური ბიუჯეტით დეკემბერში გათვალისწინებული ღონისძიებების და წინა თვეებში წარმოშობილი დავალიანებების დაფარვა, რომელთა საერთო ოდენობა დაახლოებით 55 მლნ ლარს შეადგენს. ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაციაში სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციისა და საბაჟო სამსახურის მიერ მხოლოდ განსაკუთრებული ღონისძიებების გატარების შედეგად შეიძლება მიღწეულ იქნეს ის ზღვარი, რომელიც სსფ-ს მიერ იქნა განსაზღვრული წლის ბოლომდე, კერძოდ, საგადასახადო შემოსავლებში 310 მლნ ლარის, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლებში - 50 მლნ ლარის მობილიზაცია.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრების დასაზუსტებლად 6 დეკემბერს დაიწყო მოლაპარაკება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან, რომლის შედეგების მიხედვით მომზადებულ უნდა იქნეს შესაბამისი კანონპროექტი საგადასახადო კონონმდებლობაში 1997 წლის 1 იანვრამდე შესატანი ცვლილებების შესახებ, რომლებიც უახლოეს დღეებში უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად. აგრეთვე, განსაზღვრული იქნება იმ მაჩვენებელთა ნუსხა, რომლის მიხედვით შეტანილი იქნება კორექტივები საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში.

საგადასახადო ინსპექციის ხაზით ნოემბრის ბიუჯეტის შემოსავლებმა 30 მლნ ლარი შეადგინა, რაც 10 მლნ ლარით, ანუ 50%-ით მეტია განვლილი ათი თვის საშუალო თვიურ მაჩვენებელზე. ნოემბრის შემოსავლების გათვალისწინებით წელს ბიუჯეტში აკრეფილია 250 მლნ ლარი, რაც თითქმის 2,5-ჯერ აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონეს.

ნოემბრის თვეში ფაქტობრივად შენარჩუნებულია სექტემბერსა და ოქტომბერში მიღწეული ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის მაქსიმალური დონე, რითაც პირობა იქმნება IVკვარტლის საგეგმო დავალებათა უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულის მისაღწევად წლის ბოლომდე საგადასახადო ინსპექციის ხაზით ბიუჯეტში უნდა აიკრიფოს არანაკლებ 38 მლნ ლარისა.

საბაჟო სისტემიდან 1-6 დეკემბერს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა 1,7 მლნ ლარი, რაც 37,6%-ის აღემატება წინა თვის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. მთლიანი თანხიდან საბაჟო გადასახადი შეადგენს 302 ათას ლარს, დამატებული ღირებულების გადასახადი - 350 ათას ლარს, აქციზი - 27,6 ლარს, ნავთობპროდუქტებზე ფიქსირებული გადასახადი - 278 ათას ლარს, ხოლო თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრიდან მიღებულია 667 ათასი ლარი.

წლიური გეგმით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად დეკემბრის თვის განმავლობაში საბაჟო სისტემიდან მობილიზებული უნდა იქნას 9,8 მლნ ლარი.

*საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცენტრი*

# ტერი ადამსი კვლავ თბილისშია

(დასასრული)

ლიანად შეისწავლოს მილსადენთან დაკავშირებული საკითხები, რაც ხელს შეუწყობს მათ შემდგომ მუშაობას საქართველოში.

პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების სისტემატური განხილვისა და ამ მიმართულებით წამოჭრილი პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, სპეციალურად შეიქმნა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის, საქართველოს მილსადენის კომპანიისა და კომპანია "კვერნერ ჯონ ბრაუნის" ერთობლივი მუშა-ჯგუფი.

კომპანია "კვერნერ ჯონ ბრაუნ"-ის ლონდონის ოფისში მიმდინარეობს დასავლეთის მილსადენის საპროექტო სამუშაოები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ ქართველი სპეციალისტები, რაც საშუალებას მისცემს ქართულ მხარეს ხაზგასმით გამოკვეთოს საქართველოს ინტერესები და მიზნები პროექტის განხილვის პროცესში. მუდმივად ხდება ინფორმაციის გაცვლა ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების პროექტში დროული გათვალისწინების მიზნით.

გარდა ამისა, ინგლისური ფირმა "ფუგრო"-ს მიერ სუფსაში მიმდინარეობს ტერმინალის საფუძვლის დაპროექტებისათვის საჭირო ნიადაგის სიღრმივი მახასიათებლების მოპოვება. უკვე ჩატარებული მუშაობის შედეგად მოხდა ტერმინალის განლაგების საბოლოო ვარიანტის დადგენა.

ამავე დროს, საქართველოში გრძელდება საერთაშორისო აღიარების მქონე გარემოს დაცვითი საკონსულტაციო ფირმების - "დეიმს ენდ მურისა" და "დეტ ნორსკე ვერიტასის" სპეციალისტების მიერ, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების პროექტზე ინტენსიური მუშაობა.

აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმმა მოახდინა არსებული ნავთობსადენის რეაბილიტაციისა და ახალი მონაკვეთის მშენებლობისათვის ტენდერში მონაწილე კომპანიების წინასწარი სელექცია, რომელთა წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტი მიმდინარეობს ა.წ. 5 დეკემბრიდან. მათი ვიზიტის მიზანია ნავთობსადენის ტრასის გავლა არსებული მდგომარეობისა და შესასრულებელი სამუშაოების მასშტაბების შესასწავლად.

მილსადენის დათვალიერებაში მონაწილეობას ღებულობს 7 ალიანსი, რომელიც წარმოდგენილია 30 ექსპერტის სახით.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის საინფორმაციო სამსახური

# საქართველოს ახალი

(დასასრული)

საგადასახადო განაკვეთები იმოქმედებს. ადვილი წარმოსადგენია, ქუთაისში რომ 40% დაწესდეს დამატებული ღირებულების გადასახადი და თბილისში რომ კვლავ 20% დარჩეს, რა ქაოსს გამოიწვევს ეკონომიკაში.

კარი I. თავი II. კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები და ზოგადი წესები. მუხლი 16. ეკონომიკური და არაეკონომიკური საქმიანობა. პუნქტი 3.

"... ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება... ბ) ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით შესრულებული საქმიანობა".

გაუგებარია, რატომ არ არის ეს ეკონომიკური საქმიანობა. მაგალითად, გაზეთის გასაყიდად დიაქირავებ ადამიანს და იგი ამ სამუშაოს შეასრულებს, რატომ არის ეს "არაეკონომიკური" საქმიანობა, თუ პროექტის შემდგენლები ამაში დარწმუნებულები არიან, მაშინ ურიგო არ იქნებოდა, განმარტებაც აქვე წარმოედგინათ.

კარი I. მუხლი 37. საბაზრო ფასი. პუნქტი 1.

"საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასად ითვლება ფასი, რომელიც იქმნება ბაზარზე იდენტური (ხოლო მათი არსებობის შემთხვევაში - ერთგვაროვანი) საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებისას და საქონელს შესაბამის ბაზარზე იმ პირებს შორის დადებული გარიგების შედეგად, რომლებიც 33-ე მუხლის თანახმად არ წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს. საქონლის საბაზრო ფასი განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესით".

აქ აუცილებელია მიენიშნოს, რომ საბაზრო ფასი არის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების შედეგად წარმოქმნილი ფასი და არა იმ პირების მიერ დადგენილი ფასი, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულები არ არიან. თუ საჭიროება მოითხოვს, ურთიერთდამოუკიდებელი პირებისათვის დიდი სირთულე არ იქნება ხელოვნურად დამახინჯებული ფასის შემცველი გარიგება დადონ.

კარი I. მუხლი 44. კოდექსში გამოყენებული სხვა ტერმინთა განსაზღვრებები. პუნქტი 3) ნათესავები.

7. " პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან როგორც მშობლები და შვილები".

საინტერესოა, როგორ მოხდება ამის განსაზღვრა. ჯერ კიდევ კომუნისტური წყობის დროს შვილიშვილები ერთხელ ნანახ ბებია-ბაბუის მეურვედ და შვილად ეწერებოდნენ, რათა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის თავი აერიდებინათ. ახლა კი, როცა ფულით ყველაფერი კეთდება, ძალიან ადვილია, თუ საქმე მოითხოვს, თავი ნებისმიერი პირის მეურვედ გაასაღო.

კარი II. მუხლი 66. შეღავათები. პუნქტი 1.

"საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები... ზ) მოგებები 100 ლარამდე ოდენობით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში".

სამინისტროს წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავენ, რომ ახალი კოდექსი იურიდიულ პირებს (მეწარმეებსაც მათ შორის) მუშაობას გაუადვილებს. ეს ვერაფერი შეღავათია ფიზიკური პირისათვის ან უბრალოდ, რიგითი მოქალაქისათვის. თუ ადამიანს ბედმა გაუმართლა და ლატარიაში გარკვეული თანხა მოიგო, ამ კოდექსის თანახმად ნაწილი იქვე უნდა დატოვოს. თანხა ხშირად 100 ლარს აღემატება და ამიტომ უმეტეს შემთხვევაში არავითარი შეღავათი არ იქნება გათვალისწინებული.

კარი III. მოგების გადასახადი. თავი 4. ზოგადი დებულებები. მუხლი 74. შეღავათები.

"მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება... გ) შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციები..." და ჩამოთვლილია მგონი ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ჩვენთან ფუნქციონირებს.

ფინანსთა სამინისტროს მიზანი გასაგებია - ქართული სტუმართმოყვარეობა საშუალებას არ გვაძლევს მოგების გადასახადი გადავახდევინოთ უცხოელებს. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ უცხოელი ფინანსისტები გვთხოვენ არ დავუშვათ უაზრო შეღავათების პრეცენდენტები. ამდენად, უკეთესი იქნებოდა პუნქტში ეწეროს " ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც არ ეწევიან საქართველოში კომერციულ საქმიანობას".

კარი IV. საერთო დებულებები მოგების გადასახადისა და საშემოსავლო გადასახადებისათვის. მუხლი 103. უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულების წმინდა მოგების დაბეგვრა.

"მოგების გადასახადის გარდა უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება იბეგრება ამ მუდმივი დაწესებულების წმინდა მოგების გადასახადით 10 პროცენტის განაკვეთით".

ზემოთ ქართულ სტუმართმოყვარეობაზე ვსაუბრობდი და მგონი შევცდი. უცხოელს რომ მიადგები და ამ გადასახადის გადახდას მოთხოვ, ხომ გადმოგიღებს კოდექსს და გეტყვის - აბა, ერთი მაჩვენე, ასეთ გადასახადს ეს კოდექსი თუ ითვალისწინებსო. რა თქმა უნდა, ვერ ვაჩვენებთ და ვერც იმას ავუხსნით, - იცით რა, შეცდომა დავუშვით და თუ გაგვივიდოდა, ხომ კარგიო.

კარი II. მუხლი 109. უცხოეთში გადახდილი გადასახადის ჩათვლა. პუნქტი 1.

"საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ან მოგების გადასახადის თანხები ჩაითვლება საქართველოში გადასახადის გადახდისას".

აქ შესატანია შესწორება "იმ შემთხვევაში, თუ იმ ქვეყანასთან არსებობს ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ წინააღმდეგ შემთხვევაში კონკრეტულ ქვეყანასთან ყველა მოერიდება კონტრაქტების გაბმას.

კარი VI. აქციზი.

ეს საკითხი თვით საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზეც კი ყველაზე სკანდალური აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რის საფუძველზეც გადაწყდა, რომ ღვინოებზე მოხდებოდა აქციზების დიფერენცირება - ყურძნის ღვინოზე იქნებოდა 15%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ ღვინოზე - 50%. ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შიდა ბაზრის დასაცავად. მოგეხსენებათ, საქართველო ძირითადად ყურძნის ღვინის მწარმოებელია და დაბალი აქციზი ხელს შეუწყობდა ქართული ნაწარმის კონკურენტუნარიანობის გაზრდას უცხოურ ხილის იაფფასიან ღვინოებთან შედარებით. ბატონმა იაკობიძემ საბჭოს სხდომაზე პროექტის ის ვარიანტი წარმოადგინა, სადაც აქციზი ყველა ღვინოზე ერთნაირი იყო. სავალუტო ფონდთან მომუშავე სხვა ქართველმა წარმომადგენლებმა ამის თაობაზე შენიშვნა გააკეთეს. საქართველოს პრეზიდენტი საქმის კურსში ყოფილა და მთავარ ფინანსისტს პასუხის გაცემა მოსთხოვა. ბატონმა დავითმა აღნიშნა, რომ "თქვენ პროექტის ძველი ვარიანტი გაქვთ, ახლის დაბეჭდვა ვერ მოვასწარითო". ამან ჩვენი მშვიდი პრეზიდენტიც კი აღაშფოთა:

"კი მაგრამ, არ უნდა იცოდე, სად რა უნდა მიიტანო, პრეზიდენტთან განსახილველად ძველი დოკუმენტები მიგაქვს?" ეს კიდევ არაფერი. იქვე გაირკვა, რომ სსფ-სთან შეთანხმებით არაყსა და ბრენდიზე (ქართველები შეცდომით კონიაკს რომ ვეძახით) აქციზი 100%-დან 50%-ზე ჩამოვიდოდა, ხოლო ვისკის, ჯინის, რომისა და ლიქიორის აქციზი (ანუ იმ სპირტიანი სასმელების, რომლის წარმოება ჩვენთან პრაქტიკულად არ ხდება და შემოტანილია) კვლავ 100% დარჩებოდა. კოდექსის პროექტში კი აქციზი მათზეც 50%-ია დაწესებული.

მართალია, ბატონმა დავითმა ეს ტექნიკურ შეცდომად მონათლა, მაგრამ პრეზიდენტი ალბათ უფრო იმან აღაშფოთა, რომ იგივე ბატონი დავითი მანამ, სანამ ეს საკითხი "გასკდებოდა", ამტკიცებდა, რომ პროექტში წარმოდგენილი განაკვეთები მაქსიმალურად ხელსაყრელია ჩვენი მეწარმეებისათვის, რაზეც ვერ საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეიძლება დაგვთანხმებულიყო. სხდომაზე მისგან მსგავსი ფრაზაც კი გაისმა:

"თქვენ რა, ისინი სულელები ხომ არ გგონიათ, არ დაუშვებენ, რომ შემოტანილი პროდუქცია უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს. მე თუ გინდათ, კიდევ ორი კვირა გავმართავ მათთან ამ საკითხზე კამათს, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს დროის დაკარგვა იქნება და მეტი არაფერი."

თურმე, საკამათო არაფერი ყოფილა. სსფ-სთან ქართულ მხარეს მიუღწევია შეთანხმება. სამაგიეროდ ბატონი დავითის ამ ფრაზის შემდეგ დარბაზში გაისმა ფრაზები:

- ვალავი რატომ გვკარნახობს ყველაფერსო.

არა ბატონებო, ვალავის საკუთარი "გრეხებიც" ეყოფა. ეს შემთხვევა ქართველების უნიათობის ბრალია. პრეზიდენტი ალბათ გაარკვევს, შეცდომა იყო ეს, თუ დანაშაული, რათა შემდეგ ყველაფერი სსფ-ს დაბრალებოდა.

კარი X. ქონების გადასახადი. მუხლი 266. საგადასახადო შეღავათები.

"გადასახადით არ დაიბეგრება შემდეგი სახის ქონება... დ) ქონება, რომელიც გადაყვანილია კონსერვაციის რეჟიმში მოქმედი წესის მიხედვით."

აქ აუცილებელია მიენიშნოს, ამ საწარმოებზე რა ვადით ვრცელდება შეღავათები, რათა ასეთი შეღავათების დამთავრების მოახლოებისას რესტრუქტურიზაციის პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს.

კარი XIII. გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის. მუხლი 304. გადასახადის განაკვეთები.

"საგადასახადო განაკვეთები შეადგენს: 10%-ს - პირველი რიგის მემკვიდრეებისათვის, 20%-ს - მეორე რიგის მემკვიდრეებისათვის, 30%-ს სხვა მემკვიდრეებისათვის.

ამ პუნქტის რეცენზია უკეთესი იქნებოდა ჟურნალ "ნიანგის" ფურცლებზე დაბეჭდილიყო.

თუკი ბატონი ფინანსისტების მსჯელობას მივყვებით, მამის წვალებით აშენებული სახლის მიღებისათვის შვილმა კოლოსალური გადასახადები უნდა იხადოს. მოგეხსენებათ, რა ძვირია უძრავი ქონება ქალაქში. თუ იგი შეფასებულია 120-130 ათას ლარად, შვილმა 10 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს 12-13 ათასი ლარი. არ ვიცით, შეიძლება ამ კოდექსის დამწერს 12-13 ათასი ლარი მუთაქაში აქვს შენახული, თორემ ფაქტია, რომ ნახევარი საქართველოს მოსახლეობის 95% ვალს აიღებს, რათა ბინა გაიფორმოს, შემდეგ გაყიდოს და ფული მევალეს დაუბრუნოს, ან საერთოდ უარს იტყვის მემკვიდრეობაზე. შეიძლება ვინმე შემეკამათოს - იქნებ კოდექსის შემდგენლები არ ელოდებიან ვინმესგან მემკვიდრეობის მიღებას და ეს საკითხიც ნაკლებად ანაღვლებთო. კი ბატონო, მაგრამ შვილები და შვილიშვილები მათაც ხომ ჰყავთ, თუ არ აპირებენ მემკვიდრეობის მიცემას. იქნებ ეგვიპტელი ფარაონების მსგავსად პირამიდებისა და აკლდამების აშენებას და ყველაფრის თან წაღებას აპირებენ? ძნელია ამის თქმა.

კარი XIV. სოციალური გადასახადი. მუხლი 312. გადასახადის განაკვეთები. პუნქტი 1.

"სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ჩასარიცხი გადასახადის განაკვეთი სამუშაოს მიმცემისათვის შეადგენს 25 პროცენტს, ხოლო მომუშავისათვის 1 პროცენტს."

პუნქტი 5.

..."სამუშაოს მიმცემი უცხოელი ორგანიზაციებისათვის გადასახადის 20 პროცენტს."

ალბათ აქაც უაზრო სტუმართმოყვარეობასთან გვაქვს საქმე. რატომ უნდა გადაიხადოს უცხოელმა უფრო ნაკლები? აბსურდია იმის ვარაუდიც კი, რომ ეს 5 პროცენტიანი სხვაობა უცხოური ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

კარი XVII. ზოგადი ადმინისტრაციული დებულებანი. მუხლი 333.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგადასახადო კოდექსი ექნება

ცალკეულ შემთხვევებში დაბეგვრის ობიექტის განსაზღვრის წესი.

პუნქტი 4.

"შემოსავალი იბეგრება გადასახადით იმ შემთხვევებშიც, როდესაც სხვა პირები და ორგანოები სადავოდ ხდიან აღნიშნული შემოსავლის კანონიერებას."

ჯერ ერთი, რას ნიშნავს "სხვა პირები და ორგანოები?" თუ "სხვა პირები" გამვლელები არიან ან ამ ორგანიზაციის მტრები (კონკურენტები) იგულისხმებიან, შემოსავლის უკანონობაზე საუბარი უხერხულია. თუ მათში ოფიციალური პირები, ხოლო "ორგანოებში" სამართალდამცავები იგულისხმებიან, მაშინ ალბათ აუცილებელია ჩატარდეს შესაბამისი გამოძიება და უკანონობის დამტკიცების შემთხვევაში უკანონობის ჩამდენის წინააღმდეგ უნდა გატარდეს სანქციები, ხოლო მთელი შემოსავალი ბიუჯეტში ჩაირიცხოს. რა დაბეგვრაზეა ამ დროს საუბარი?

კარი XVII. მუხლი 357. მუხლი ძალიან დიდია და მის საგაზეთო ფურცლებზე მოყვანა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. ერთი კი ფაქტია: იგი განუზომელ უფლებებს ანიჭებს საგადასახადო ორგანოების წარმომადგენლებს. მათ შეეძლებათ შევიდნენ ნებისმიერ შენობაში (საცხოვრებელშიც კი), მოითხოვონ დოკუმენტები, გადაიღონ ასლები. "ამოიღოს დოკუმენტი ან სხვა მასალა, რომელსაც კავშირი აქვს კანონიერ მიზანთან დაკავშირებით საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრასთან". მინდა მკითხველს შევახსენო, რომ 37-იან წლებში "ტროიკებსაც" "კანონიერი მიზნები" ამოძრავებდათ (მათივე თქმით). ეს მუხლი თავისი შინაარსით ანტიკომუნისტურიცაა, რადგან იქ გარკვევით წერია, რომ ყოველი მოქალაქის უფლება დაცულია და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე არ შეიძლება გამონაკლისების დაშვება (ჩხრეკვა, ტელეფონის მოსმენა, საბუთების ამოღება და ა.შ.). ამ მუხლით საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ კოდექსს, რა თქმა უნდა, არ დაამტკიცებს, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, უკვე არის მცდელობა შექმნან მონსტრი, რომელსაც ექნება სასამართლოს, პოლიციისა და "ზარამიძის კომისიის" გაერთიანებული ჯგუფები. მარტო ესღა აკლდათ ჩვენს მეწარმეებს.

კარი XVII. თავი 39. გადასახადის თანხების დარიცხვა. მუხლი 360. გადასახადის თანხების დარიცხვა. პუნქტი 6.

"საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელს უფლება აქვს მოახდინოს დარიცხვა გადასახადის თარიღამდე, თუ ეს ღონისძიება აუცილებელია გადასახადის გადახდევინების უზრუნველსაყოფად. ამ პუნქტის მიხედვით გადასახადის თანხის დარიცხვა შეიძლება გასაჩივრებული იქნეს სასამართლოში იმის საფუძველზე, რომ

ა)გადასახადის თანხა მეტისმეტად დიდია, ან

ბ)წინასწარი დარიცხვის გამამართლებელი გარემოება არ არსებობს".

მიაქციეთ ყურადღება. "ღონისძიების აუცილებლობას" ერთი პირი განსაზღვრავს თავისი შეხედულებისამებრ. აქ აუცილებელია ჩაიწეროს, როდის არის ვადამდე გადასახადის დარიცხვა აუცილებელი და ნებადართული, რათა ეს მუხლი ინსპექციის ხელმძღვანელისათვის მისთვის "არასიმპათიური" ორგანიზაციის წინააღმდეგ მძლავრი იარაღი არ გახდეს. შეიძლება შემეკამათოთ, ორგანიზაციას საშუალება აქვს სასამართლოს მიმართოსო. თავს ნუ მოვიტყუებთ, დღეს საქართველოში ალბათ სულ რამოდენიმე ორგანიზაციას აქვს იურიდიული სამსახური. ამიტომ სასამართლო სხდომებზე სირბილი დირექტორს ან მის მოადგილეს მოუწევს. საგადასახადომ სადავო პერიოდის განმავლობაში ბანკში ანგარიშსწორებაც რომ არ შეაჩეროს, ორგანიზაციის მუშაობა ხელმძღვანელობის მოუცლელობის გამო, მაინც შეფერხებული ან სულაც პარალიზებული იქნება.

კარი XVII. თავი 43. დავათა გადაჭრა. მუხლი 396. საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვა. პუნქტი 1.

"...შუამდგომლობა წარდგენილი უნდა იქნეს გადასახადის დარიცხვის ან სხვა გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში".

უკაცრავად, მაგრამ ეს უსინდისოდ მოკლე ვადაა. ერთი თვე ხელმძღვანელი შეიძლება სულაც არ იმყოფებოდეს ქვეყანაში ან ოჯახური და სხვა შემთხვევის(მაგ. უბედური) გამო არ ჰქონდეს შუამდგომლობის წარდგინების საშუალება. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა 30 დღე 90 დღემდე მაინც გაიზარდოს. მკითხველი კიდევ უფრო აღშფოთდება, თუ 362 მუხლსაც მოვიშველიებთ:

"სახელმწიფო საგადასახადო ორგანოს შეუძლია დაარიცხოს და გადასინჯოს გადასახადის დარიცხული თანხა საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში".

ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინეთ ბატონებო, ეს "საქართველოს საგადასახადო კოდექსია" თუ "საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფლებების უზომოდ გაფართოების კოდექსი". რა [illegible] სუფრაზე საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლების თამადობისას ყანწი რომ არ დალიოთ, ამ კაცს 6 წლის განმავლობაში შეუძლია შენზე შური იძიოს. ეს, ხუმრობით. თუმც ყველა ხუმრობაშია ჭეშმარიტების მარცვალი.

როგორც თავში აღვნიშნე, კოდექსს მაინც ეტყობა "ნამუშევრობის" კვალი და ამისართქმაც უზნეობა იქნება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა ალბათ უკვე მივიდა იმ კონდიციამდე, რათა განვსაზღვროთ, კოდექსები და კანონები თავისუფალი საზოგადოებისთვის არსებობს თუ სახელმწიფო მოხელეებისთვის.

როცა საქართველოს პრეზიდენტი ლისაბონში ეუთო-ს სამმიტზე აყენებს წინადადებას, მიღებული იქნას 21-ე საუკუნეში სახელმწიფოების ქცევის წესები ე.წ. "ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია", ალბათ უხერხულია იმის გაფიქრებაც კი, რომ აქ, მისსავე ქვეყანაში ადამიანის უფლებების ხარჯზე (კონსტიტუციურისაც კი) ვიღაც თავისი უფლებების და ფუნქციების გაზრდას ცდილობს.

უნდა გვრცხვენოდეს.

**გია კობიძე**

## საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

# ბრძანება №1-3/876

თბილისი · 1996 წლის 5 დეკემბერი

### "1996 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1996 წლის 25 მარტის №08.35.255 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

"საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამაში 1996 წლისათვის ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 2 თებერვლის №143 ბრძანებულებისა, "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის "შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს №829 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს "1996 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1996 წლის 25 მარტის №08.35.255 დადგენილებით დამტკიცებულ:

1.1. დანართ №1-ს საპრივატიზებო ობიექტების თანდართული ნუსხა (დანართი №1);

1.2. დანართ №2-ს იმ ობიექტების ნუსხა, რომელიც ამოღებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 აპრილის №306, 7 ივნისის №445, 21 ივლისის №572, 1994 წლის 18 აგვისტოს №570, 12 დეკემბრის №854 და 1995 წლის 7 მაისის №249 დადგენილებებიდან (დანართი №2);

2. დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დარგობრივ და ტერიტორიულ სამმართველოებს (განყოფილებებს) განახორციელონ ამ დადგენილების №1.1-ში აღნიშნული ობიექტების პრივატიზების ორგანიზება რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (მ.გაბუნია) და მინისტრის მოადგილეს ბატონ გ.დიდბარიძეს.

მინისტრი ა.სილაგაძე

დანართი №1

### 1996 წლის საპრივატიზებო ობიექტების დამატებითი ნუსხა

| ობიექტის დასახელება (მისამართი) | სამინისტრო, უწყება | პრივატიზების ინიციატორი |
|---|---|---|
| *ქ.თბილისი* | | |
| სახელმწიფო გაერთიანება ფირმა "კვარცის" კისლოვოდსკის ტიპის მოდულის დაუმთავრებელი მშენებლობა (ავჭალა, ბაღნარის ქ.№2-ა) | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| გლდანის რ-ნის სამრეწველო ზონაში მდებარე ყოფილი გორკის ავტოქარხნის საწარმოო ფირმა "გაზავტოტექმომსახურების" ტექნო-კომერციული ცენტრის დაუმთავრებელი მშენებლობა | საწარმოო ფირმა "გაზავტოტექმომსახურება" | სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო |
| *ქ.ქუთაისი* | | |
| საშენმასალათა კომბინატის ხარისხოვანი ჭურჭლის საწარმო (გუგუნავას ქ.№5) | ეკონომიკის სამინისტრო | ქ.ქუთაისის მერია |
| საშენმასალათა კომბინატის ხის დამუშავების საწარმო (გუგუნავას ქ.№5-ბ) | " - " | " - " |
| *ახალციხის რაიონი* | | |
| სოფ.წყალთბილას სახელმწიფო მეურნეობის უმოქმედო აბანო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| *გურჯაანის რაიონი* | | |
| გურჯაანის ელექტროქსელის ამორტიზებული ქვესადგურის ყოფილი შენობა | სახელმწიფო ენერგოკომპანია "საქენერგო" | სახ.ქონების მართვის სამინ. გურჯაანის სამმართველო |
| *თეთრიწყაროს რაიონი* | | |
| სოფელ წინწყაროს მეთესლეობის სახელმწიფო მეურნეობის ყოფილი წისქვილის შენობა | სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო | სახ.ქონების მართვის სამინ. თეთრიწყაროს განყოფ. |
| *მარნეულის რაიონი* | | |
| სოფ.კიზილაჯლოს სახელმწიფო მეურნეობის საბრიგადო სახლი | სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო |
| *წყალტუბოს რაიონი* | | |
| თერნალის დასახლების საზაფხულო ესტრადის ამორტიზებული ნაგებობა | კულტურის სამინისტრო | კულტურის სამინისტრო |
| *ჩოხატაურის რაიონი* | | |
| ფირმა "ზაზარო" | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო |
| *ხაშურის რაიონი* | | |
| ბურთულასაკისრების ქარხნის: მაღაზია (სააკაძის ქუჩა) | ეკონომიკის სამინისტრო | სახ.ქონების მართვის სამინ. ხაშურის განყოფილება |
| სოფ.ოსიაურის პურის საცხობი | " - " | " - " |

დანართი №2

### საქართველოს რესპუბლიკის იმ ობიექტთა ნუსხა, რომლებიც ამოღებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 აპრილის №306, 1993 წლის 7 ივნისის №445, 1994 წლის 18 აგვისტოს №570, 12 დეკემბრის №854 და 1995 წლის 7 მაისის №249 დადგენილებებიდან:

1.1. როგორც პრივატიზებას დაუქვემდებარებელი:

*1.1.1.1993 წლის 7 ივნისის №445 დადგენილებით;*

1.1.1.1. ასპინძის რაიონის სოფ.ოთის მომსახურების პავილიონი; ფუნქციონირებს სოფელ ოთის საკრებულო;

1.1.1.2. ტყიბულის რაიონის სასკოლო კვების:

1.1.1.2.1. №3 ბუფეტი (ცირეკიძის 3);

1.1.1.2.2. №6 ბუფეტი;

1.1.1.2.3. №5 ბუფეტი;

1.1.1.2.4. №11 ბუფეტი;

1.1.1.2.5. №1 სასადილო (ვაჟა-ფშაველას 1);

1.1.1.2.6. №5 სასადილო (კალინინის 13);

1.1.1.2.7. №15 სასადილო (პროფტექსასწავლებლის ტერიტორია);

*1.1.2. 1995 წლის 7 მაისის №249 დადგენილებიდან, 1995 წლის 22 აგვისტოს №588 განკარგულების შესაბამისად;*

1.1.2.1. ქ.ფოთის წყალკომარდობის ბაზა მდინარე მალთაყვაზე;

1.2. საქართველოს სამინისტროების, უწყებების და ადგილობრივი მმართველობის გამგეობის ინიციატივით;

*1.2.1. 1993 წლის 7 ივნისის №445 დადგენილებიდან საცხოვრებელ ფონდში გადაცემასთან დაკავშირებით;*

1.2.1.1. ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავის მომსახურების პავილიონი;

1.3. იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით (ვინაიდან კონკურსზე და აუქციონზე არ მოხდა მათი პრივატიზება);

*1.3.1. 1993 წლის 20 აპრილის №306 დადგენილებიდან:*

1.3.1.1. მცხეთის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი;

1.3.2.1993 წლის 7 ივნისის №445 დადგენილებიდან:

1.3.2.1. ქ.ვანის საყოფაცხოვრებო სახლი;

*1.3.3. 1993 წლის 21 ივლისის №572 დადგენილებიდან:*

1.3.3.1. ქ.გორის მაღაზია №9 (ნადირაძის ქუჩა);

*1.3.4. 1994 წლის 18 აგვისტოს №570 დადგენილებიდან:*

1.3.4.1. ქ.რუსთავის ავტოტექმომსახურების სადგური (მშენებელთა ქ. №8);

*1.3.5. 1994 წლის 12 დეკემბრის №854 დადგენილებიდან:*

1.3.5.1. ქ.ფოთის მრავალდარგობრივი საწარმო "ლითონმანქანათშეკეთება";

1.3.5.2. ქ.თელავის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საწარმო;

1.3.5.3. სიღნაღის რაიონის:

1.3.5.3.1. "საქაგროტექსერვისის" მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმო;

1.3.5.3.2. "საქაგროტექსერვისის" სოფელ ულიანოვკის სარემონტო ქარხანა;

1.3.5.3.3. "საქაგროტექსერვისის" სოფელ წნორის სპეციალური საწარმო;

1.3.5.3.4. "საქაგროტექსერვისის" სოფმომარაგების ბაზა;

1.3.5.4. მარნეულის რაიონის:

1.3.5.4.1. ფოტოატელიე;

1.3.5.4.2. ფეხსაცმლისა და საათების სარემონტო სახელოსნო;

1.3.5.4.3. საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი (რუსთაველის ქ. №106);

1.3.5.5. საგარეჯოს სოფმომარაგების ბაზა;

*1.3.6. 1995 წლის 7 მაისის №249 დადგენილებიდან:*

1.3.6.1. ქ.ფოთის სახელმწიფო საწ. "ფოთიმშენრესურსი" (რეკვავას 66);

1.4.როგორც არასახელმწიფო ქონება:

*1.4.1. 1993 წლის 7 ივნისის №445 დადგენილებიდან:*

1.4.1.1. აბაშის რაიონი, იპოდრომი სოფელ კვათანაში, როგორც სპორტსაზოგადოება "შევარდენის" ქონება;

*1.4.2. 1995 წლის 7 მაისის №249 დადგენილებიდან:*

1.4.3.1. ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავის ბაგა-ბაღის დაუმთავრებელი შენობა, როგორც სოფელ რუსთავის კოლმეურნეობის ქონება;

1.5. ადრე დამტკიცებასთან დაკავშირებით:

*1.5.1.1993 წლის 7 ივნისის №445 დადგენილებიდან ამავე დადგენილებაში დამტკიცებასთან დაკავშირებით:*

1.5.1.1. ტყიბულის რაიონის:

1.5.1.1.1. №2 მაღაზია (ბაზრის ტერიტორია);

1.5.1.1.2. №3 მაღაზია (ბაზრის ტერიტორია);

1.5.1.1.3. №4 მაღაზია (დასავლეთ შახტის ტერიტორია);

1.5.1.1.4. №5 მაღაზია (სოფელი გელათი);

1.5.1.1.5. №6 მაღაზია (რკინიგზის სადგური);

1.5.1.1.6. №8 მაღაზია (გამსახურდიას 51);

1.5.1.1.7. №9 მაღაზია (გამსახურდიას 51);

1.5.1.1.8. №10 მაღაზია (რკინიგზის სადგური);

1.5.1.1.9. №18 მაღაზია (ლესელიძის ქ.);

1.5.1.1.10. №20 მაღაზია (სოფრომაძის ქ.);

1.5.1.1.11. №22 მაღაზია (ბაზრის ტერიტორია);

1.5.1.1.12. №№31 მაღაზია (ბარათაშვილის ქ.);

1.5.1.1.13. №32 მაღაზია (სოფელი კურსები);

1.5.1.1.14. №38 მაღაზია (შაუმიანის ქ.);

1.5.1.1.15. №42 მაღაზია (წერეთლის 1);

1.5.1.1.16. №46 მაღაზია (გამსახურდიას ქ.№19);

1.5.1.1.17. №48 მაღაზია (გამსახურდიას ქ.№19);

1.5.1.1.18. №50 მაღაზია (ბაზრის ტერიტორია);

1.5.1.1.19. №39 მაღაზია (ბაზრის ტერიტორია);

1.5.1.1.20. №1 ფარდული (ლენინის შახტის ტერიტორია);

1.5.1.1.21. №2 ფარდული (სოფელი ხიკნეულა);

1.5.1.1.22. №5 ფარდული (სტალინის შახტის ტერიტორია);

1.5.1.1.23. №6 ფარდული (ლენინის შახტის ტერიტორია);

1.5.1.1.24. №8 ფარდული (რკინიგზის სადგურთან);

1.5.1.1.25. №9 ფარდული (ჯორჯიაშვილის დასახლება);

1.5.1.1.26. №18 ფარდული (ქასრაშვილის დასახლება);

1.5.1.1.27. №21 ფარდული (საბჭოს ქ.);

1.5.1.1.28. №29 ფარდული (თბილისის ქ.);

1.5.1.1.29. №1 წიგნების ფარდული (გამსახურდიას ქ.№39);

1.5.1.1.30. №4 წიგნების ფარდული (შაორი, გამსახურდიას ქ. №44);

1.5.1.1.31. №2 წიგნების ფარდული (საკოლმ. ბაზარი, გამსახურდიას ქ.);

1.5.1.1.32. №5 წიგნების ფარდული (გამსახურდიას ქ.);

1.5.1.1.33. №2 სასაუზმე (იმერეთის სახელობის შახტი);

1.5.1.1.34. №5 სასაუზმე (გელათის ქ. №16);

1.5.1.1.35. №10 ბუფეტი (ხრესილის ქ. №12);

1.5.1.1.36. სამწვადე (გორგიძის ქ. №15);

1.5.1.1.37. №3 სასადილო (კიროვის 38);

1.5.1.1.38. №6 სასადილო (მეშახტის 15);

1.5.1.1.39. №11 სასადილო (ბარათაშვილის 5);

1.5.1.1.40. №12 სასადილო (შაუმიანის 3);

1.5.1.1.41. №14 სასადილო (სოფელი ერსები);

1.5.1.1.42. №17 სასადილო (სოფელი გელათი);

1.5.1.1.43. №19 სასადილო (ჩაის ფაბრიკა);

1.5.1.1.44. №22 სასადილო (კიროვის 11);

*1.5.1.2. 1995 წლის 7 მაისის №249 დადგენილებიდან, 1993 წლის 21 ივლისის №572 დადგენილებაში დამტკიცებასთან დაკავშირებით:*

1.5.1.2.1. ქ.თელავის ქალთა სალონი (კოსტავას ქ. №27).

# ინფორმაცია

## მსოფლიოს ირგვლივ

### ვისი სახე აღიზიანებს ზიუგანოვს?

სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლისას რუსი კომუნისტების ლიდერმა ზიუგანოვმა განაცხადა, თითქოს ქვეყანაში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პრეზიდენტმა ან სათათბირო უნდა გარეკოს ან მთავრობა უნდა დაითხოვოს.

ამასთან, მან მოითხოვა შეიქმნას რუსეთის ტელევიზია, რომ ეკრანზე რუსის სახე ჩანდეს. თუ ვისი ცხვირპირი აღიზიანებს, ამაზე ბატონ ზიუგანოვს არაფერი უთქვამს.

### ძვირფასი განძი დამნაშავეებისათვის

ესტონეთის სახელმწიფო რეგისტრიდან მოიპარეს და ახლა "შავ ბაზარზე" იყიდება ინფორმაცია ათასობით ადამიანზე. ეს არის საგადასახადო, საბაჟო, სოციალური უწყებების, ავტორეგისტრის ცენტრის საბაზო მონაცემები. "საქონელი" რამდენიმე ათასი დოლარი ღირს, მაგრამ, როგორც საინფორმაციო წყაროები ამტკიცებენ, მყიდველი მაინც ბლომად არის, რამდენადაც ეს მონაცემები დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს თვალ-ყური ადევნონ პარტნიორებისა და კონკურენტების საქმეებს, დააზუსტონ პოტენციური ფინანსური მეტოქეები და მათი მსყიდველობითი უნარი.

ეს ცნობები განსაკუთრებით ძვირფასი განძია დამნაშავეთა სამყაროსათვის, რომელიც სწორედ შეძლებულ ადამიანებზე "ნადირობს".

### ნავთობისთვის კრედიტს იძლევიან

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 55 მილიონი დოლარის კრედიტი გამოყო დასავლეთ ციმბირის ორი ნავთობსაბადოს დასამუშავებლად, რომელსაც აწარმოებს რუსულ-ამერიკული ერთობლივი საწარმო "გეოილბენტ ლტდ". საბადოების მარაგი 300 მილიონი ბარელია.

ერთობლივი საწარმო 1991 წელს შეიქმნა და ახლა ფლობს 40 საქაჩს, რომლებიც ყოველდღიურად 8 ათას ბარელ ნავთობს იძლევიან.

### ისევ ნაციონალიზაციაზე ფიქრობენ

სვერდლოვსკის ხელისუფლება ამზადებს კანონს ნაციონალიზაციის თაობაზე, რომელიც მალე განსახილველად გადაეცემა საკანონმდებლო კრებას. ადმინისტრაციის აზრით ოლქის სახალხო მეურნეობაში ბევრი ისეთი ობიექტია, რომელთა კერძო საკუთრებაში გადაცემა არ შეიძლებოდა.

# რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო

უცნაური ხალხი ვართ, ყველაფრის გაკეთება გვინდა, ყველაფერს ვებლაუჭებით, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, დაწყებულის გაგრძელება, მითუმეტეს დამთავრება არ გვინდა თუ გვეზარება. ამის გამო ხშირად ვზარალობთ, გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებით.

ასეა ყველგან, ცხოვრების ყველა უბანზე. ცოდნა გვინდა, მაგრამ სწავლა არ გვიყვარს, სახლის აშენებაზე უარს არასოდეს ვიტყვით, მაგრამ მტვერში ამოგანგვლას ვერიდებით და ფეხის დაუსველებლად გვინდა წყალში თევზის დაჭერა. ეს შეიძლება, მაგრამ იოლი არ არის და ამგვარი ცდები ხშირად მარცხით მთავრდება.

ხმაურიც გვიყვარს, განსაკუთრებით ძველის ლანძღვა კარგ მანერად მიგვაჩნია და იმაზე ხშირად არ ვფიქრობთ, რომ იმ "ძველის" კანიდან ჯერაც არ გამოვსულვართ და უმეტეს შემთხვევაში მისი ძალით მივექანებით თავდაღმართში.

კანონზე ვლაპარაკობთ, კანონიერი უფლებების მინიჭებას, უკანონობისგან დაცვას მოვითხოვთ. ეს მაშინ, როცა ჩვენ თვითონ აინუნშიც არ ვაგდებთ კანონის მოთხოვნებს. აქაოდა ფართო მასშტაბის ეკონომიკური რეფორმები მიდის, სოციალისტური წყობილებიდან განვთავისუფლდით, კერძო მესაკუთრეები გავხდით და ცა ქუდად არ მიგვაჩნია, დედამიწა ქალამნად.

მთელი ეს ტირადა იმისათვის დაგვჭირდა, რომ მკითხველის ყურადღება ერთი უხერხული საქმის არსზე გაგვემახვილებინა.

ეგრეთწოდებული მცირე პრივატიზება უკვე დამთავრდა. იმ შრომითი კოლექტივების წევრებმა, ვისაც გონიერი ხელმძღვანელი ჰყავდა, მათთვის დაწესებული შეღავათებით ისარგებლეს, გარკვეული ქონების პატრონები გახდნენ, საწარმოებიც სააქციონერო საზოგადოებებად გადაკეთდნენ, თითქოს მოედანი მობურთალს დარჩა, მაგრამ...

ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს. ეკონომიკური რეფორმები კანონით რეგულირდება. მისი შესრულება კი ყველასთვის სავალდებულოა. ვინც თავს აარიდებს, მათთვის მრავალი საშუალება არსებობს, სხვათაშორის მშრალზე დარჩენის შანსიც.

საქმე ის არის, რომ სააქციონერო საზოგადოებები ჰაერში არ იქმნებიან, არც ქაღალდზე, თუმცა ეს ოხერი ქაღალდი მაინც საჭირო და აუცილებელი საგანია მას შემდეგ მაინც, როცა მასზე რაღაც იწერება და დოკუმენტად იქცევა.

ასეა აქაც. არსებობს სააქციონერო საზოგადოებების შექმნის წესი. სხვა მრავალი პროცედურული საკითხის მოგვარებასთან ერთად უნდა ჩატარდეს აქციონერთა საერთო კრება, არჩეულ იქნას მეთვალყურეთა საბჭო, რომელმაც უნდა მართოს საზოგადოების საქმეები. საბჭოს შემადგენლობაც გარკვეულად მოწესრიგებული უნდა იყოს. მაგალითად, როცა სააქციო საზოგადოებაში აქციათა საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელშია, იქ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობას სახელმწიფოს წარმომადგენლები უნდა შეადგენდნენ, რათა საშუალება ჰქონდეთ ნორმალურად იმუშაონ და დაიცვან სახელმწიფოს ინტერესები.

შეიძლება პირიქითაც. მაშინ აქციონერთა კრება თავად წყვეტს, თუ ვის აირჩევს საბჭოში, ვის მიანდობს თავისი აქციების ბედს, რომ უნარიანი ხალხის ხელში საქმე კარგად წარიმართოს და კუთვნილი მოგებაც მიიღოს.

არის კიდევ ერთი ნიუანსი. აუცილებელია სააქციო საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა შეჯერდეს ქონების მართვის სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოში არსებულ მონაცემებთან, რათა სურათი ნათელი იყოს და მოგვიანებით თავში დაშვებულმა შეცდომამ საზოგადოების საქმიანობა არ შეაფერხოს.

თითქოს ძნელად გადასალახი წინაღობა, მოუგვარებელი პრობლემა არსად ჩანს, მაგრამ აუტკივარი თავის ძალით ატკივების მსურველი მაინც ბევრი გროვდება.

საქმე ის არის, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, უკვე დაირღვა აქციონერთა საერთო კრების ჩატარების ვადები და, ცხადია, მეთვალყურეთა საბჭოებიც არ არჩეულან. მაშასადამე, ასეთ საზოგადოებებში საქმე თვითდინებით მიდის და ფიზიკის კანონის თანახმად, ერთ მომენტში აუცილებლად გაჩერდება.

სადაც კრებები ჩატარდა, უმრავლეს შემთხვევაში ზემოთაღნიშნული წესები დაირღვა: კერძოდ, საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მეთვალყურეთა საბჭოში სახელმწიფოს ერთი წარმომადგენელი აირჩიეს, რაც დამტკიცებული წესის უხეში დარღვევაა. ბევრი საზოგადოების მესვეურთ არც ფინანსური მონაცემების შეჯერებით შეუწუხებიათ თავი. რეგიონებს რომ თავი დავანებოთ, წესების დამრღვევი საზოგადოება თბილისშიც საკმაოდ ბევრია.

ვითარება დღეს მართლაც განსაკუთრებულია. სააქციონერო საზოგადოებები ფაქტიურად დამოუკიდებელ ორგანოებს წარმოადგენენ და თავიანთი თავის ბატონ-პატრონები თვითონ არიან. ძალით მათ ვერავინ ვერაფერს გააკეთებინებს, მაგრამ...

არ გვინდა ვინმეს დაშინებად მოეჩვენოს ის, რასაც ახლა ვიტყვით, ოღონდ მაინც უნდა ვთქვათ:

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყველა ამ ღონისძიების პრაქტიკულად განხორციელების ვადა 1 დეკემბერს ამოიწურა. აქედან მოყოლებული რეგისტრაციაგაუვლელი საზოგადოებები კანონიერად აღარ ითვლებიან და შესაბამის ორგანოებს ყველა უფლება აქვთ ბანკში მათი ანგარიში "გაყინონ".

მერე, იცოცხლეთ, დაიწყება სირბილი, საჩივრების წერა.

ვაითუ ეს ყველაფერი ფუჭი აღმოჩნდეს და გამართლდეს სათაურად გამოტანილი ანდაზა.

**ბეგი ლალიძე**

# თბილისში დადის აჩრდილი

## ფელეტონი





არა, არ შეგეშინდეთ. ეს ნამდვილად არ არის კომუნიზმის აჩრდილი. მან სადღაც ევროპის შუაგულში დაიწყო ხეტიალი და მართალია მერე თბილისშიც ისე შემოაბიჯა, კარზე არავისთვის მიუკაკუნებია "შემობრძანების" უფლების სათხოვნელად, მაგრამ წასვლითაც ისე წავიდა, ნებართვის მისაღებად განცხადება არ დაუწერია.

ღვთის მადლით მისი უკან დაბრუნების შიში არ უნდა გვქონდეს. ვინც ამაზე ოცნებობს, იწამეთ ღმერთი, იმას ხელს ნუ შეუშლით. იოცნებოს, რა მოხდა. ოცნებას კაცი ჯერ არ მოუკლავს, არც რაიმე საქმე გაუკეთებია. ისიც გახსოვდეთ, რომ ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. ცხოვრებასაც თავისი გზა აქვს და ერთი-ორი მოსახვევი ვერაფერს გააფუჭებს.

ეს სხვა აჩრდილია.

არც ყველა ქვეყნის პროლეტარების თბილისში შეერთებას მოითხოვს, არც ქუჩაში ძარცვავს ვინმეს.

უბრალოდ დადის და... ძველებურად ფაბრიკების, ქარხნების, ახალი ტერმინით სააქციონერო საზოგადოებების მესვეურებს აშინებს.

მართლა აშინებს და პირში წყალს უგუბებს. თითოეულს შუბლში დამიზნებულ ტყვიასავით ეშინია მისი.

ცხადია, აჩრდილს გვარი და სახელი არ ექნება, მაგრამ ვილაცის ანარეკლი ხომ უნდა იყოს.

ვისი?

ეს ცნობისმოყვარეობის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილმა ჟურნალისტებმაც ვერ დავადგინეთ.

რა აჩრდილია მაინც და რას უშვრება გაზეთ "მესაკუთრის" წესით და რიგით, ყველაზე მახლობელ მეწარმეებს, მესაკუთრეებს?

ეშმაკმა იცის.

სახეზე მხოლოდ ფაქტია.

გამოვიდა გაზეთი "მესაკუთრე". პირველსავე ნომერში საჯაროდ განვაცხადეთ, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანი არის მეწარმეობის განვითარებისათვის შეძლებისდაგვარად ხელის შეწყობა, მათი ინტერესების დაცვა, ყველა სასიკეთო საქმეში თანადგომა და მხარდაჭერა.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

ასე გამოვიდა.

სწორედ მეწარმეებმა შემოიკრეს ტანზე ჯავშანი და ენას კბილი ისე დააჭირეს, მათი ხმის გაგონებას ვინ ჩივის, სუნთქვის მოსმენაც სანატრელი გაგვიხდა.

ვინც საქმეს აკეთებდა ან ახლა ცდილობს სასარგებლო საქმის გაკეთებას და ჩვენს გაზეთში გამოსვლა, საუბარი, მათი საქმიანობის შექება (განა ლანძღვა) შევთავაზეთ, ყველამ ხელები გაასავსავა და ლამის ბუდიდან ამოვარდნილი თვალებით გვანიშნეს, თქვენი ჭირიმე ახლა თავი დაგვანებეთ, მერე ჩვენ ვიცით და ჩვენმა კაცობამო.

გამჩენმა ხელი მოუმართოთ, სხვის საქმეში ჩვენ არ ვერევით, მაგრამ ვინც თავისი ნამოქმედარის საჯაროდ გამოჩენას ერიდება, ის ან წესიერი მეწარმე არ არის ან...

გვაპატიოს ყველამ, და ვილაცა რაღაცას უმალავს. ვის?

ათას ვინმეს. ჩვენი აზრით, ჯერ დამნაშავეთა სამყაროს (ალბათ არაფერი წაგვართვანო), მერე სახელმწიფო ორგანოებს, რომელთაც კონტროლის, გადასახადის მოთხოვნის უფლება აქვთ.

თუ კონკრეტულად ვისი, ამის გარკვევა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება და კომპეტენციასაც სცილდება.

ისე ცოდვა გამოტეხილი სჯობს და, ალბათ, ნდობის ფაქტორიც თავის როლს ასრულებს. ჩვენ, ჟურნალისტებმაც დროზე ვერ ვისწავლეთ ახალ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სიტუაციაში ენაზე კბილის დაჭერა. რა შედარებაა, მაგრამ ეს აფხაზეთის ტრაგედიამაც დაადასტურა. მოწინააღმდეგეს ისე ზუსტად ვაწვდიდით ინფორმაციას ჩვენი ტექნიკის, ჯარების, უკაცრავად, სამხედრო ფორმირებების განლაგების შესახებ, რომ დღემდე ვერ გამიგია მაინც რაში სჭირდებოდათ აფხაზებს სადაზვერვო ორგანოები, რომელიც სინამდვილეში უმუშევრად დავტოვეთ.

იყო, ეს ყველაფერი იყო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ჩვენც გამოცდილება შევიძინეთ არავისთვის საიდუმლოების დატყუებას, მერე საჯარო სამსჯავროზე გამოტანას არ ვაპირებთ.

ისე მეწარმეებსაც უჭირთ. არც ისინი არიან მთლად დალხინებულები. ჯერ ერთი - ნუ მიწყენენ და იმათაც არ იციან, თუ რისი თქმა შეიძლება, რისი გამოაშკარავება არ არის ფინანსური საიდუმლოების "გამხელა", ბევრმა ისიც არ იცის თავად "ფინანსური საიდუმლოება" რას ნიშნავს, ზოგს კიდევ...

ასე შორს წავალთ. მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, სწორედ ისე გამოგვივა, მიზეზების ძიებაში შეიძლება შევტოპოთ, საიდანაც გამოსვლა გაგვიჭირდება კი არა, საერთოდ შეიძლება ვერც გამოვიდეთ.

ზოგიერთი მეწარმე (ამჯერად ჩვენი მკითხველი), ალბათ, გაგვიბრაზდება და იტყვის, ეს ზოგადი ლაპარაკი ვის სჭირდება, დროს მაინც რაზე გვაკარგვინებთო, თუ, რა თქმა უნდა, გაზეთი მანამ არ გადააგდო, სანამ ამ წერილს ჩაათავებს.

ჩვენც ვიცით, რომ ასეთ ზოგად ლაპარაკს შედეგი არ მოჰყვება და გაწითლებული მეწარმე თავქუდმოგლეჯილი არ გამოვარდება, რათა რედაქციის მუშაკებს სასწრაფოდ ესაუბროს (ყოველშემთხვევაში ის მაინც უთხრას, რომ ასე თუ ისე მუშაობდა ან მუშები არ გაურეკია).

თავს ნამდვილად ვერ მოვიტყუებთ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო კონკრეტულად არ ვასახელებთ იმ საზოგადოებებს, სადაც ჩვენს თანამშრომლებს საკმაო დროით გადაუდეს საუბრის ვადები, უფრო სწორად, მიანიშნეს, თავი დაგვანებეთ, ჩვენი გასაჭირიც გვეყოფაო.

მაინც თქვენ მოგმართავთ:

ბატონო მეწარმეებო, სააქციონერო საზოგადოებების თავკაცებო, მესაკუთრეებო! "მესაკუთრე" თქვენი გაზეთია! ენდეთ მას და ეცადეთ ქვეყანამ იცოდეს თქვენი კაი-კაცობის ამბავი, თორემ, ღმერთმა გაშოროთ და რამე რომ გაგიჭირდეთ, ჩვენც კალამს უჯრაში შევინახავთ და ეძებეთ თანამდგომები იქ, სადაც თქვენი დასაცავი ყოველი სიტყვა საკმაოდ ძვირი ეღირება.

**რ. რატიანი**

ვისაც ბერძნული მითოლოგია არ უსწავლია ან საუნივერსიტეტო კურსის გავლის შემდეგ დიდი დრო გავიდა და დაავიწყდა, შევახსენებთ:

ზღვის ღმერთქალის თეტიდას და თესალიელი გმირის პელევსის ქორწილზე არ დაპატიჟეს განხეთქილების ქალღმერთი - ერიდა. ასეთი უპატივცემლობით განრისხებულმა თავმოყვარე ქალბატონმა ქორწილის მონაწილეთა შორის უსიამოვნებისა და განხეთქილების ჩამოგდების უმარტივესი ხერხი მოიგონა. ვაშლს წააწერა "უმშვენიერესს" და იგი მექორწილეებს გადაუგდო.

სტუმრებს შორის იყვნენ ულამაზესი ღმერთქალები ჰერა, ათენა, აფროდიტე. თითოეულმა, ცხადია, ვაშლი თავისად მიიჩნია და მათ შორის ფიცხელი დავა გაიმართა. დიდხანს იდავეს, მაგრამ ვერაფრით შეთანხმდნენ. მაშინ განჩინებისთვის მიმართეს ტროას მეფისწულს - პარისს. ყველაზე ეშმაკმა აფროდიტემ პარისის დამარტოხელება მოახერხა და თუ გაამარჯვებინებდა, შეპირდა რომ ცოლად შეართვევინებდა ულამაზეს მანდილოსანს. პარისმა ცდუნებას ვერ გაუძლო, ვაშლი აფროდიტეს არგუნა. სამაგიეროდ, მისი დახმარებით მოიტაცა სპარტის მეფის მენელაოსის ცოლი - პირმშვენიერი ელენე და...დაიწყო ტროას ომი.

ომისა რა მოგახსენოთ, იგი ღმერთმა ყველას აშოროს, მაგრამ ერიდას (ამჯერად რუსეთის მთავრობის) მიერ მექორწილეთათვის (წაიკითხეთ სახელმწიფო სათათბირო) გადაგდებული ვაშლი (ქვეყნის 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი) ნებიერად გაგორდა კი არა, ისე ჯოჯოხეთურად დატრიალდა, რომ დღეისთვის ფაქტიურად შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა, როდის და როგორ დამთავრდება, დაეცემა ტროა (მთავრობა), თუ წარმატებით დაიცავს პოზიციას და მოიგერიებს მომხდურთ (სათათბიროს).

ყოველშემთხვევაში სიტუაცია დღეისათვის ასეთია: მთავრობა დაჟინებით იცავს არაერთხელ გადამუშავებულ და მისი აზრით, საბოლოოდ ჩამოყალიბებულ პროექტს. ოპოზიციას პროექტის დამტკიცებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურს და გარეგნულად მაინც რაიმე კომპრომისზე წასვლაც არ უნდა.

ცხადია, ყველაზე მეტად გარკვეული ამბიციების მქონე დეპუტატები აქტიურობენ.

რუს კომუნისტთა ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა სათათბიროს სხდომაზე განაცხადა, რომ ბიუჯეტის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა ქვეყანაში ისეთი ვითარება შექმნა, რომ წესით პრეზიდენტმა ან პარლამენტი უნდა გარეკოს ან მთავრობა უნდა დაითხოვოს.

ერთიც და მეორეც ქვეყანაში ისედაც გართულებულ სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს, მაგრამ ეს, ეტყობა, ისევ კომუნისტების და დემოკრატ-ლიბერალების წისქვილზე დაასხამს წყალს. თუმცა მათ ამის დიდი იმედი არა აქვთ. ზიუგანოვის თქმით, ვითარების ასეთი განვითარება მოსალოდნელი არ არის, რადგან ამის გამკეთებელი პიროვნება დღეს რუსეთში მართვის საჭესთან არ დგას. მისი აზრით, პრეზიდენტი ავადმყოფია და რაიმე რადიკალური ზომების მიღება არ ძალუძს, მთავრობა კი იმდენად უსუსურია, რომ ვერც ვითარების კონტროლს შეძლებს, ვერც გადაადგილების უნარსა და ნებისყოფას გამოიჩენს.

ზიუგანოვის ვარაუდით, მდგომარეობა უფრო გამწვავდება იმის გამო, რომ თანდათან მყარად ჩამოყალიბდება პრეზიდენტის აპარატი, რომლის კონტროლს მალე ვერავინ შეძლებს და ქვეყანას დაეუფლება ფინანსური მაფია, რომელიც პირადი კეთილდღეობის ამაღლებით უფრო იქნება დაკავებული, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამომყვანი ღონისძიებების ძიებით და ცხოვრებაში პრაქტიკული გატარებით.

სეთში არ გაჭირდება."

იგი აქ, ამ დარბაზში ზის, - განაგრძო ჟირინოვსკიმ და თითი სერგეი ბელიაევს მიუშვირა, რამაც სათათბიროს სხდომათა დარბაზში მყოფთა გამოცოცხლება გამოიწვია.

ჟირინოვსკის გამოსვლის შემდეგ სიტყვა სწორედ სერგეი ბელიაევმა ითხოვა. მოსალოდნელი იყო, რომ იგი ზრდილობისათვის მაინც მადლობას გადაუხდიდა მისი აღზევების მსურველს, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ბელიაევს თითქოს არ მოუსმენია ჟირინოვსკის წინადადება, ისე შეუდგა ბიუჯეტის პროექტის, მისი აზრით, ყველაზე სუსტ პუნქტებზე საუბარს.





# ერიდას ვაშლი მიგორავს

## ზიუგანოვი, ჟირინოვსკი, ბელიაევი და სხვები უტევენ ყველას და ყველაფერს







ამიტომ, დაასკვნა ზიუგანოვმა, თუ მთავრობას ქვეყნისა და ხალხის ბედი მართლა აწუხებს, ან უნდა თვითონ გადადგეს ან მოიხსნას პრინციპულობის ნიღაბი და უკან წაიღოს სახელმწიფო სათათბიროსათვის დასამტკიცებლად წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი.

"დედით რუსი და მამით იურისტი" ვლადიმერ ჟირინოვსკის პოზიცია და მოთხოვნები უფრო ყოფით, უფრო კონკრეტულ ხასიათს ატარებს.

ვლადიმერ ვოლფოვიჩის აზრით, როცა უთანხმოება მოსდით და მის მოწესრიგებას ვერ ახერხებენ, ერთმანეთთან ყოფნას შეუძლებლად მიიჩნევენ, მაშინ ცოლქმარი მიმართავს პრობლემის გადაწყვეტის უმარტივეს ფორმას - განქორწინებას ან, მარტივად რომ ვთქვათ, ერთმანეთს შორდებიან და ცალ-ცალკე იწყებენ ცხოვრებას. ამიტომ ჟირინოვსკის ძალიან უკვირს, თუ რა ხდება ისეთი, რომ სახელმწიფო სათათბიროსა და მთავრობის გაყრა ვერ ხერხდება, რაც მისი ღრმა რწმენით მდგომარეობიდან გამოსვლის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია.

როგორც ჩანს, ჟირინოვსკიმ მისამართებიც იცის. არც მალავს ამას. ბიუჯეტის განხილვისადმი მიძღვნილ სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე მან ტრიბუნის დაკავებისთანავე თავისი გამოსვლა დაიწყო იმით, რომ თქვა: "ჩუბაისს ვერავინ იტანს, ვერც დეპუტატი, ვერც უბრალო ხალხი, რადგან ყველამ იცის, რომ მისი მიზანი რუსეთის დალუპვაა. ამიტომ იგი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელის თანამდებობიდან, რათა აწი მაინც ვერ შეძლოს პრეზიდენტისთვის გზა-კვალის არევა. მისი შემცვლელის მოძებნა რუ-

თუ ჭეშმარიტებად აღვიქვამთ ცნობილ გამოთქმას, რომ დუმილი თანხმობის ნიშანია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბატონი ბელიაევი პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელის თანამდებობისადმი მაინცდამაინც გულგრილი არ ყოფილა და თუ ოდესმე შესთავაზებენ, სიამოვნებით დათანხმდება ეგზომ მაღალ სკამზე "წამოსკუპებას".

ალბათ, ბელიაევმა სხვაზე ნაკლებად არ იცის, რომ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა არც ისე ძნელია.

ერთი სიტყვით, ვნებები გაშიშვლდა, მაგრამ ვაშლი "უმშვენიერესს" მაინც პარისმა უნდა მიაკუთვნოს.

მას კი ექიმები უკვე აღარ თვლიან თავიანთ პრეზიდენტად და ახალნაოპერაციევი პრეზიდენტი თავის საქმეს აუჩქარებლად აკეთებს. თუ უცხოეთის საინფორმაციო წყაროებს დავუჯერებთ, ახლა ბატონ ელცინს ქვეყნის საგარეო პრობლემები უფრო აინტერესებს, ვიდრე ბიუჯეტის პროექტის მოწინააღმდეგე დეპუტატების ტირადების მოსმენა.

იგი ახლახან ტელეფონით მართლა ელაპარაკა გერმანიის კანცლერს ჰელმუტ კოლს და ხანმოკლე ვიზიტით მოსკოვში მიიწვია, რაც უყოყმანოდ იქნა მიღებული. ვიზიტი მომავალი წლის დასაწყისისათვის დაიგეგმა.

რა მოხდება მანამდე?

ტროა მაგრად დგას, სპარტელები უკან დახევას არ აპირებენ, ერიდას ვაშლი კი მიგორავს და მიგორავს...

**როსტომ ბაძაღუა**

# რა იოლი ყოფილა განძის გატაცება

საინფორმაციო საშუალებებმა მსოფლიოს ელვის ზისწრაფით მოფინეს სენსაციური ცნობა - გაქურდეს სახელმწიფო ისტორიული საჯარო ბიბლიოთეკა და გაიტაცეს უნიკალური წიგნები, რომელთა შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ქურდი მუზეუმში სამსახურებრივი კარებიდან შევიდა. მოხუცი ვახტიორი ქალი საუზმეს მიირთმევდა და ზედაც არ შეუხედავს შემომსვლელისათვის, რომელმაც მშვიდად აიარა კიბეები და მეოთხე სართულზე მოთავსებულ სამკითხველო დარბაზში შევიდა. აქ გასასვლელია, რომელიც უბრალო ბოქლომით არის ჩაკეტილი. მისი გაღება ძნელი არ არის. მთავარია მერე შემთხვევით არ ჩაიკეტოს. ეს პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან სამუშაო საათებში ამ კარით არავინ სარგებლობს.

სამკითხველოს გვერდით არის მძარცველისათვის საოცნებო სამი ოთახი - უიშვიათესი წიგნების სათავსი.

ინფორმაციის გავრცელებისთანავე გაჩნდა კითხვა - რისთვის დასჭირდა ავაზაკს ამ უძველესი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების გატაცება, როცა მათი "შავ ბაზარზე" გატანა და გაყიდვა თითქმის შეუძლებელია. არც საზღვარგარეთ მათი გატანაა იოლი და უხიფათო საქმე. ეს ბანდიტმაც კარგად უნდა იცოდეს.

სამიდან ორი სათავსი ჯერ კიდევ სექტემბერში გაიქურდა. მთავარი მაინც მესამეა. იქ ჭეშმარიტად ფასდაუდები განძია მოთავსებული. "დაუპატიჟებელი სტუმარი" სწორედ იქ შედის და პირველივე სტელაჟიდან იღებს წითელ-ყვითელ გარეკანიან წიგნს. მასზე გარკვევით მოჩანს გამოცემის თარიღი - 1871 წელი. სუმაროკოვის "მოთხრობებისა და ლექსების სრული კრებული". 4 ტომი.

"წიგნის მოყვარულმა", რომელიც ძვირფასეულობის საცავში მარტოა და ხელში იშვიათი წიგნი უჭირავს, ზედმიწევნით კარგად იცის, რომ ამ გამოცემის თითოეული ტომი მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის ბუკინისტური წიგნის მაღაზიებში სულ ცოტა ნახევარი მილიონი რუბლი ღირს. ელემენტარული მათემატიკური გამოთვლა - 500000 x 4 = 2000000. მაშასადამე, ეს ორი მილიონი რუბლის საქმეა.

სადღაც აქ უნდა იყოს უვაროვის ისტორიული კოლექციაც, მაგრამ... დერეფანში ვიღაცის მოზომილი ნაბიჯების ხმა ისმის. ბიბლიოთეკის თანამშრომელია! მხოლოდ მათ იციან ასეთი მშვიდი, აუჩქარებელი სიარული. შეიხედავს ოთახში? არა, ჩაიარა. მაშ წარმატება? როგორც ჩანს, ღმერთი ყოველთვის კეთილის მხარეზე არ არის.

შემინულ კარადაში ზედა თაროზე დევს 1667 წლის ფრანგული გამოცემა "Histoire La Paix". მისწრებაა პირდაპირ.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მძარცველმა კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა, რისთვისაც აკეთებდა და ისიც, ოპერაციის შეუმჩნევლად დამთავრების შემდეგ [illegible] განძის, შემდეგ როგორი ფინანსური მდგომარეობის ბატონ-პატრონიც ხდებოდა. ეს შემდეგ. ახლა კი...

კარადის კარი მჭიდროდ არის მიხურული, ძნელად იღება. პირველ ცდას ცერა და საჩვენებელი თითის ფრჩხილები ეწირება, მაგრამ ნატკენი ადგილებისთვის სულის შებერვის დრო არ არის, არც საშუალება. ყოველმა ზედმეტმა მოძრაობამ შეიძლება არასასურველი ხმაური გამოიწვიოს. საჭიროა სიჩქარე. ბოლოსდაბოლოს კარი იღება და წიგნი უკვე ყოვლად დაუცველია. თაროდან ადვილად იღებს, შემდეგ უკვე უიშვიათესი ხელნაწერის ჯერი დგება. ფრთხილად კეტავს კარადას, ფრთხილად აღებს კარებს და დერეფანს ათვალიერებს. არავინ ჩანს, სრული სიწყნარეა.

რა გარდა სტოვებს ბიბლიოთეკის საცავს? ეს არის ძირითადად სწორედ ე.წ. უვაროვის კოლექციის ნაწილი. მას ხშირად "მასონური" გამოცემის კოლექციად იხსენიებენ. ეს წიგნები ასე სრულად ევროპის არც ერთ ბიბლიოთეკაში რა არის. ჯერ ერთი ე.წ. "როზენკრაიცერები" მოდიდან გამოვიდნენ, მეორე - XVIII-XIX საუკუნეებში მათ სდევნიდნენ, უბრალოდ იღებდნენ და წვავდნენ. ქურდმა მათთან ერთად ხელს გააყოლა XVI საუკუნეში გამოცემული ინკუნაბულა, უიშვიათესი რარიტეტი.

რუსულიდან ძირითადად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გამოცემული წიგნები წაიღეს.

ნელა გამოდის დერეფანში. გვერდს უვლის სამკითხველო დარბაზს. ეს უკვე შეიძლება. საცავიდან პირველ სართულზე ვიწრო კიბე ჩადის. შემდეგ ფოიეა. აქ მრავლად ირევიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი საფიქრალი აქვთ და ცხადია, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ გასასვლელისაკენ მშვიდად მიმავალ კაცს, რომელსაც ხელში არაფერი უჭირავს ტყავის ბუდეში ჩადებული ფოტოაპარატის გარდა. ვახტიორ ქალს საუზმე დაუმთავრებია და ახალ გაზეთებს ათვალიერებს.

როგორ თუ არაფერი მიაქვს? ნამდვილად არაფერი. ამაში გასაოცარი არაფერია. საკვირველია ის, თუ რა ოპერატიულად იპოვეს სამართალდამცველმა ორგანოებმა მძარცველი, რომელმაც ვერც ერთი წიგნის რეალიზაცია ვერ მოასწრო. სწორედ ასე განუცხადეს გამომძიებლებმა ბიბლიოთეკის დირექტორს მიხეილ აფანასიევს, რომელსაც განძის საცავში დაბრუნებას მხოლოდ ძიების დამთავრების შემდეგ დაპირდნენ.

რაც შეეხება ზემოთაღწერილ გზას, იგი ქურდის მერე ბიბლიოთეკის დირექციასთან შეუთანხმებლად გაიარა ძიების ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელიც თვალნათლივ დარწმუნდა, რომ გულდაარხეინობის ვითარებაში ფასდაუდებელი განძის გატაცებაც კი იოლია.

რუსული პრესის მიხედვით მასალა მოამზადა
**ხათუნა სარიშვილმა.**



ჟურნალების,
წიგნების,
ბროშურების,
რეფერატების
კომპიუტერული
აწყობა-
დაკაბადონება.

მისამართი:
ზანდუკელის ქ.№1

სწრაფად,
ხარისხიანად
მოგვმართეთ
დროულად!

ვინც დროს
არ კარგავს,
ის ფულს
იგებს!



# პანორამა

## კვება ვერ იტანს სიახლეებს

XXI საუკუნეში პლანეტა რამდენადმე გამოკვეთილ ტენდენციებს დაადგენს "სურსათისწარმოებასა" და "კვების" დარგში. ასეთი აზრი გამოთქვეს მსოფლიოს 80 ქვეყნის წარმომადგენელმა 2150 "სასურსათო" ფირმის სპეციალისტებმა, რომლებიც პარიზში, საკვების გამოფენაზე შეიკრიბნენ.



ჯერ ერთი რომ, უფრო პოპულარული ხდება პროდუქტები, რომელთა სარგებლიანობა კონკრეტულად შეიმჩნევა, მაგალითად იოგურტები, რომლებიც ნაოჭებს შლიან.

მეორე, მეტი ფასი ედება ფუნქციურ საკვებს - ბავშვთა ერთჯერადი საკვები საწოვარიანი ბოთლებით, მარწყვის, და ა.შ.

მესამე, იზრდება მოთხოვნილება ეგზოტიკურ საჭმელებზე.

დაბოლოს, რაც მთავარია, საკვებისადმი დამოკიდებულებაზე უფრო კონსერვატული არაფერია ამ ქვეყანაზე. გამოფენაზე წარმოდგენილი საჭმელების 95 პროცენტი სულ 8 სტანდარტული თავისა და სახელის ვარიაცები იყო მხოლოდ. ესენია მაკარონი, ჰამბურგერები, აფრიკული კუსკუსი, პიცა, ლათინურ-ამერიკული "ჩილი კონ კარნე", ყავა და კოკა-კოლა.

## მულტიმედიას აკმაყოფილებს

კორპორაცია "შარპმა" მთელი 90 გრადუსით შეატრიალა ტელევიზია.



ამ ფირმის სპეციალისტებმა ტელევიზორის უკანასკნელ მოდელს გაუკეთეს მბრუნავი ეკრანი, რომელზეც ერთდროულად შეიძლება უყურონ 12 პროგრამას. ტრანსლირებული "სურათის" ზომა გემოვნების მიხედვით დგება, მოწონებული და სასარგებლო კადრები (ვთქვათ, საჭირო ტელეფონის ნომერი ან კულინარული გადაცემიდან რაიმე საჭმლის რეცეპტი) შეიძლება "მეხსიერებაში" შეიტანოთ. მისი ავტორების აზრით ეს ტელევიზორი "სრულად აკმაყოფილებს საუკუნის მულტიმედიას მოთხოვნებს. მისი ფასი 1000 დოლარს გადააჭარბებს.

## კასეტა აკრძალეს

ბრიტანულმა ფირმა - "TMC Video Limited"-მა სკანდალური ისტორიით გაითქვა სახელი. საქმე ის არის, რომ ფირმამ გამოუშვა ვიდეოკასეტები სიკვდილით დასჯის დოკუმენტური კადრებით. სასამართლო აღმასრულებლების ვიზიტის საბაბი გახდა "TMC Video" კასეტა სახელწოდებით "ყველაზე უფრო ხშირი ოპერაციები", რომელზეც ნაჩვენებია ოპერაციები გულზე, აბორტები, პლასტიკური ქირურგიის ათასნაირი საოცრებანი. მოსარჩელე - პაციენტთა ბრიტანული ასოციაცია მოითხოვს გაარკვიონ როგორ მოხდა, რომ ეს ვიდეოჩანაწერები, რომლებიც შესაძლოა ავადმყოფების ნებართვით, მაგრამ მხოლოდდამხოლოდ სამედიცინო მიზნებით არის გადაღებული, კომერსანტებს ჩაუვარდა ხელთ. სხვათაშორის: ინგლისში სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება ამ აკრძალულ კასეტაზე.

## მომღერალი დაბრუნდება საკუთარ სახლში

მას შემდეგ, რაც ჯერი ჰოლმა, მეუღლეს მიკ ჯეგერს განუცხადა განქორწინებისთვის პრინცესა დაიანას ვექილს დავიქირავებო, ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა შინ დარბრუნდეს. მომღერალს განზრახული აქვს დაბრუნდეს ან ლუარაში რომ აქვს იმ ციხე-კოშკში, ან ლონდონში რომ აქვს იმ საკუთარ სახლში, ან ხმელთაშუაზღვისპირა ვილაში, ან სულაც სახლში ჰოლივუდში, ან ნებისმიერ სახლში, სადაც ჯერი ჰოლი არ დახვდება. ჯეგერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირად თავისუფლებასა და საკუთრებას.

## "თეთრ სახლთან" ახლოს

შვარცენეგერის მსგავსად ჩაკ ნორისმაც - ცნობილმა ამერიკელმა კინოკარატისტმა და ბიზნესმენმა, რომელიც რამდენიმე კაზინოს მეპატრონეა ლას-ვეგასში, ღამის დაწესებულება გახსნა მოსკოვში: კაზინო, რესტორანი და კლუბი "ბევერლი ჰილზი", ისე როგორც "პლანეტა ჰოლივუდი" კრასნაია პრესნიაზეა, ოღონდ, უფრო ახლოს "თეთრ სახლთან".

## საწვავს XXI საუკუნეში გამოიგონებენ

ამერიკის ქოვენტრის უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოიგონეს ჭეშმარიტად მომავლის მანქანა. მას არა აქვს არც მინები, არც საჭე და ბორბლები, და ამავე დროს მაღალ სიჩქარეს ავითარებს და სავსებით უსაფრთხოა გარემოსათვის. ჯერჯერობით შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მისი ფორმა - რადგანაც ამ პროტოტიპის შემქმნელნი ვარაუდობენ, რომ ავტომობილის სანავიგაციო კომპიუტერული სისტემა,



მისი ძრავა და აუცილებელი ეკოლოგიურად სუფთა საწვავი მხოლოდ XXI საუკუნეში იქნება გამოგონებული. ამიტომ დღესდღეობით ლონდონის "ავტომოტოშოუზე" გამოტანილ ამ ავტომობილს 2096 წლის კონცეპტ-ქარს უწოდებენ.

## ახალი სახელი მუსიკალურ სამყაროში

ვანესა მეიმ მსოფლიო აალაპარაკა 80-იან წლებში. ეს ფენომენალურად ნიჭიერი მევიოლინე, რომელსაც მენუხინთან და ხეიფიცთან ერთად მოიხსენიებენ ხოლმე ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში გამოდიოდა ლონდონის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დაიწყო დაკვრა. 17 წლის ნახევრად ტაიტელმა ნახევრად ჩინელმა მუსიკოსმა, რომელსაც ტოპ-მოდელის გარეგნობა აქვს თავის ბოლო ალბომში "პატარა შოტლანდიური ფანტაზია" როკ-მუსიკის სტილისტიკაც აქტიურად გამოიყენა, ფიქრობენ, რომ ვანესა მეი გახდება მუსიკოსი, რომელიც მთლიანად შეცვლის [illegible] როკ-მუსიკაზე, როგორც კლასიკურ ჟანრთან მიმართებაში [illegible].

## ყოფილი ბორტგამცილებლის ტრაგედია





მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებს მიდრეკილება აქვთ დრამისადმი, მაინც გადაწყვეტილი აქვთ მოთმინებით ელოდონ რომანის დასასრულს, რომელიც პრემიერ-მინისტრის ქვრივს დიმიტრა ლინასა და პოპულარული ბერძენი მსახიობის კოსტას სპიროპულოსს შორის გაიბა. ბერძენთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ 41 წლის ყოფილმა ბორტგამცილებელმა ქალმა ქვეყანა უნდა დასტოვოს.

## კომპლექსისგან თავისუფალნი

პროფესიონალი სტრიპტიზერი თითქმის ისეთივე ტრადიციული ფიგურაა ჰოლივუდისთვის, როგორც შერიფი ანდა კოსმოსიდან მოვლენილი ადამიანი. ამ როლში ბევრი მსახიობია გადაღებული. მათ შორის არიან ბარბარა სტენუიკი, ჯოან ვუდვორდი, ბრიტ ეკლანდი, ვალერი პერინი, მელანი გრიფიტსი, ლოლიტა დავიდოვიჩი, გოლდი ჰოუნი, ელიზაბეტ ბერკლი, ჯინა გერშონი... ამ ნუსხის შევსება ოციოდ მსახიობით კიდევ შეიძლება. აღსანიშნავი კი ის არის, რომ ყველა მსახიობის ერთად აღებული ჰონორარი ნახევრამდეც ვერ მისწვდება დემი მურის ჰონორარს. მას თავისი "სტრიპტიზისათვის" 12,5 მილიონი დოლარი გადასცეს.

33 წლის დემი მური (დემეტრია ჯინ გაინსი), სამი შვილის დედა, ამტკიცებს, რომ ამ როლზე მუშაობამ დიდი სიამოვნება მიანიჭა. "მე ყოველგვარი კომპლექსის გარეშე ვეკიდები სიშიშვლეს... მით უმეტეს თუ სტრიპტიზერის როლს ვასრულებ!.."

# საფრანგეთის ბანკები კლიენტებად იწვევენ მოზარდებსა და ახალგაზრდებს

ბოლო ხანებში საფრანგეთის ბანკები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მიიზიდონ თავიანთ კლიენტებად. თუ სულ რამდენიმე წლის წინათ ისინი ამ სფეროში შესამჩნევად ჩამორჩებოდნენ თავიანთ ამერიკელ, დიდბრიტანელ, გერმანელ თუ იტალიელ კოლეგებს, ამჟამად ნამდვილად ახერხებენ "ჩამორჩენის" დაძლევას.

სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტები ახალგაზრდა ფრანგებს სთავაზობენ სხვადასხვა უფასო მოგზაურობებს, კომპაქტდისკების ფასდაკლებით შეძენას და სხვა სახის მომსახურებას. რა თქმა უნდა, საუბარია იმ ახალგაზრდებზე, რომლებსაც მათთან აქვთ გახსნილი ანგარიში. ბანკები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ მშობლებზე, რომელთა თანხმობის გარეშე არასრულწლოვანებს არა აქვთ საბანკო ოპერაციების წარმოების უფლება.

და ისედაც, ნამდვილი უაზრობა იქნებოდა მათი ჯიბის ფულის იმედად ყოფნა, 8-17 წლის ახალგაზრდებს თვეში საშუალოდ 100 ფრანკი თუ ექნებათ. ამიტომ საბანკო დემარში მიმართულია როგორც ახალგაზრდობაზე, ისე მათ მშობლებზე.

მშობლები თავის მხრივ, თავიანთი შვილების მომავლის უზრუნველსაყოფად ცდილობენ გარკვეული კაპიტალის გადადებას. ეს აუცილებელია ქვეყანაში უმუშევრობის თანდათანობით ზრდის პირობებში, რასაც ყველაზე უფრო მწვავედ სწორედ 25 წლამდე ახალგაზრდობა განიცდის.

უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში, სპეციალისტთა აზრით, შესამჩნევად იმატა მშობელთა ინვესტიციებმა, რომლებიც ცდილობენ ფეხზე დააყენონ თავიანთი შვილები. ფინანსური ინსტიტუტებიც ამ სფეროში ნაირნაირ სამსახურს სთავაზობენ მათ. მაგალითად, 12-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისათვის არსებობს შეღავათიანი "ახალგაზრდული შემნახველი წიგნაკი", წლიური 4,75%-ით, რაც დაბეგვრას არ ექვემდებარება (დანარჩენებისთვის ეს პროცენტი 3,5-ია).

დიდი წარმატებით სარგებლობს "ახალგაზრდული შემნახველი წიგნაკი". ყოველთვიურად მის ანგარიშზე შედის 17-დან 21 მილიარდამდე ფრანკი.

ამას გარდა, მას ეხება სხვადასხვა ვადიანი სესხები, სპეციალური საკრედიტო ბარათები, დაზღვევები და სხვა. შემნახველი ბანკი "მწვანე გზას" სთავაზობს თავის წიგნაკს, რის მეოხებითაც შესაძლებელია შეღავათიანი კრედიტის აღება, ვთქვათ, პირველი მანქანის შესაძენად ანდა ავტოსკოლაში ფასდაკლებით სწავლება...

დღეს საფრანგეთში ბავშვს დაბადებიდანვე უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი შემნახველი წიგნაკი, თანაც სულ სხვადასხვანაირი პირობებით. მიმდინარე ანგარიში, ჩეკის წიგნაკი და საკრედიტო ბარათი - ისევ და ისევ მშობლების თანხმობის შემთხვევაში - შესაძლებელია 16 წლის ასაკიდან.

ამასთან ერთად, მშობლებს შეუძლიათ თავიანთი შვილებისათვის გააფორმონ ეგრეთწოდებული "საცხოვრებლის ეკონომიის გეგმა" 4 წლიანი მინიმალური ვადით. აქ ჩადებულ თანხას ყოველწლიურად საშუალოდ 5,25% მოაქვს. ასეთი გეგმა შესაძლებელს ხდის, შემდგომში, ბინის ყიდვის დროს, ბანკში აიღონ შეღავათიანი სესხი 5,54%-ით, 600 ათასი ფრანკის ფარგლებში.

ბანკები აქტიურად სთავაზობენ მშობლებს სხვადასხვანაირ ფინანსურ საქმეებს, რომლებიც მათ შვილებს დაეხმარება, რომ ცხოვრების დასაწყისისთვის უკვე ჰქონდეთ გარკვეული მატერიული ბაზა. დედებსა და მამებს შეუძლიათ



კონტრაქტი დადონ, რომლის მიხედვითაც რეგულარულად შეაქვთ გარკვეული თანხა, რაც გარკვეულ ასაკში მათ შვილებს გამოადგებათ.

ბაზარზე უკვე გამოჩნდა ახალი "პროდუქტი", რასაც "საგანმანათლებლო რენტა" ეწოდა. ეს გახლავთ დაზღვევის ნაირსახეობა, რაც ითვალისწინებს მოზარდებისთვის გარკვეული თანხის გადახდას ან სრული ასაკის შესრულებას, ან სწავლის დამთავრებამდე მათი მარჩენალის სიკვდილის შემთხვევაში. ბანკ "რედი დიუ ნორ"-მა უკვე მრავალი განაცხადი მიიღო "საგანმანათლებლო რენტაზე".

## მსოფლიო ეკონომიკა

# სატრასტო კომპანიებზე მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა

საქართველოში ტრასტი, როგორც ქონებრივი ურთიერთობების ნდობის ინსტრუმენტი, დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მნიშვნელოვანი ქონების მფლობელთა წარმოდგენაში ჯერჯერობით არ ჩამოყალიბებულა აზრი, თუ როგორ შეიძლება ანდო ქონება სამართავად სხვას, თუნდაც გაცილებით კომპეტენტურ პიროვნებას. ქართველთა გონებისათვის ეს სრულიად აბსურდულია, არადა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტრასტზე დიდი ხანია საქმიანი წრეების მოთხოვნილებაა.

სამ, ერთმანეთისაგან დამოკიდებულ პირს შორის ქონებრივი ურთიერთობის კონცეფცია (დამფუძნებელი, ნდობით აღჭურვილი პირი, მიმღები), ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაიბადა დიდ ბრიტანეთში. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი კანონებს, რომლის მიხედვითაც მოქმედებენ თანამედროვე სატრასტო კომპანიები.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრასტის დამფუძნებელი თავისი ნებით ქმნის მისანდობი ქონების პაკეტს. იგი შეიძლება შედგებოდეს "ცოცხალი" ფულის, ფასიანი ქაღალდების, უძრავ-მოძრავი ქონების, სადაზღვევო პოლისების, ინტელექტუალური საკითხებისა და სხვა ფულებრივი უფლებისაგან. დამფუძნებელი გადასცემს მისანდობ საკუთრებას თავის მიერ შერჩეულ სანდო პიროვნებას მთლიან გამგებლობაში იმ პირობით, რომ შერჩეულმა პირმა, მინდობილი საკუთრებით სარგებლობისა და მართვისას, აუცილებლად შეასრულოს დამფუძნებლის ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნები და ინსტრუქციები. სანდო პირი, იღებს რა თავის გამგებლობაში მინდობილ საკუთრებას, პირობას დებს, რომ რაციონალურად მართავს ქონებას და მიღებულ მოგებას გამოიყენებს ტრასტული ხელშეკრულებით სარგებლის მიმღების ინტერესებისათვის.

ტრასტი საიმედოდ იცავს დამფუძნებლის აქტივებს, ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის დროს იძულებითი გადანაწილებისაგან, კრედიტორების ან სახელმწიფოს მოთხოვნებისაგან. ასევე დამფუძნებელს უფლებას აძლევს იქონიოს კონტროლი მინდობილ საკუთრებაზე, როცა ფორმალურად მისგან, - ეს საკუთრება განკერძოებულია. ტრასტი საშუალებას იძლევა აუცილებელი ქონებრივი ოპერაციები კონფიდენციალურად და სწრაფად ჩატარდეს.

ვინაიდან დამფუძნებელი გადასცემს თავის აქტივებს, ამიტომ იგი აღარ არის ვალდებული გადაიხადოს მინდობილი საკუთრების გადასახადი. ასევე არ იხდის ნდობით აღჭურვილი პირიც, რადგან იგი არ იღებს შემოსავალს მინდობილი საკუთრებიდან. ასე რომ, ტრასტით შექმნილი გაურკვევლობა ქონებრივ უფლებებზე მინდობილი საკუთრებიდან საშუალებას იძლევა შექმნას საგადასახადო პასუხისმგებლობის ისეთი პირობები, რომლებიც ასე თუ ისე ნებას რთავს ტრასტის მონაწილეებს ან საერთოდ არ გადაიხადონ გადასახადები, ან მათი გადახდა დიდი ხნით გადადონ. ამ პირობებში მარტივდება და ჩქარდება ტრასტის მიზნების მისაღწევად რესურსების აკუმულირება.

ჩვეულებრივ სატრასტო ხელშეკრულება ფორმდება წერილობით, სატრასტო დეკლარაციის სახით, სატრასტო აქტით ან სატრასტო ინსტრუმენტით. სატრასტო ინსტრუმენტს და სატრასტო აქტს ერთად აწერენ ხელს დამფუძნებელი და ტრასტის სანდო პიროვნება და ხელმოწერას ორმხრივ ადასტურებენ ბეჭდით. თუ ტრასტის დამფუძნებელს არა აქვს სურვილი დოკუმენტში თავისი ვინაობის გამჟღავნების, მაშინ სატრასტო დეკლარაციას ხელს აწერენ მხოლოდ სანდო პიროვნებები. ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია წერილობითი სატრასტო დეკლარაციის გაფორმება, მაშინ ზეპირი ხელშეკრულებით აფორმებენ საიდუმლო ტრასტს.

სატრასტო დოკუმენტები ჩვეულებრივ შეიცავენ მინდობილი საკუთრების დაწვრილებით აღწერას, სადაც აუცილებლად დაფიქსირებულია დროითი და მოვლენობითი ვადები, ტრასტის



მოქმედების არე და მიზნები. ხელშეკრულება აუცილებლად შეიცავს სანდო პიროვნების ყველა უფლებასა და მოვალეობას მინდობილი საკუთრების განკარგვაში და ტრესტის დამფუძნებლისა და ბენეფიციარის მიმართ მისი დამოკიდებულების ხასიათს.

საკუთრების ფორმების სიმრავლე იწვევს დაფუძნებული ტრასტების მრავალსახეობას. მინდობილი საკუთრების ფორმირების საწყისებიდან გამომდინარე ტრასტი შეიძლება იყოს ინდივიდუალური, საოჯახო, კოლექტიური და კორპორაციული. აგრეთვე გამოძახებითი, როცა მინდობილი საკუთრების მართვის პირობები შესაძლებელია შეცვლილი იქნას დამფუძნებლის მიერ და გამოუძახებელი, როდესაც დამფუძნებელს უფლება არა აქვს შეცვალოს ტრასტის პირობები. "ცოცხალი" ტრასტი მოქმედებს მხოლოდ დამფუძნებლის სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო ნაანდერძევი არეგულირებს მინდობილი საკუთრების დამფუძნებლის ანდერძის მიხედვით განკარგვას მისი სიკვდილის შემდეგ.

მეტად პოპულარულია დისკრეციონული ტრასტი, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი ქონების თავისუფალ განკარგვას სანდო პიროვნების მიერ, რადგანაც გარეგანი თავისუფლების პირობებში, ეს პირი შემოფარგლულია მხოლოდ დამფუძნებლის მიერ გამოხატული წერილით. მით უმეტეს, რომ ჩვეულებრივ დამფუძნებელი ნიშნავს სანდო პირის მაკონტროლებელ და თავისი ინტერესების დამცველს - კომინატორს, რომლის მოსაზრებებიც პრაქტიკულად აუცილებელია სანდო პიროვნებისათვის.

ფიქსირებული ტრასტი პირიქით, საშუალებას აძლევს დამფუძნებელს, მის მიერ კონტროლირებული ბენეფიციარის და მინდობილი პიროვნების საშუალებით მართოს მინდობილი საკუთრება და მისგან მიღებული შემოსავალი.

ბევრ ქვეყანაში იზრდება ურთიერთკავშირული სატრასტო ფონდების პოპულარობა. ასეთი სახის ტრასტები მაქსიმალურად ითვალისწინებენ ფინანსურ შესაძლებლობებს, საინვესტიციო მიმართულებებს და დამფუძნებლების ინტერესებს.

განსაკუთრებით მოსახერხებელია სატრასტო ოპერაციების ჩატარება ოფშორულ ზონებში, რადგან ოფშორული კომპანიების მომსახურება შეუძლებელია რეალურ მფლობელებს და ამ კომპანიების ნომინალურ დამფუძნებლებსა და დირექტორებს შორის მისანდობი ურთიერთობების გარეშე.

საერთაშორისო ტრასტში, მინდობილი საკუთრება ოფშორულ ცენტრებშია მოთავსებული და განთავისუფლებულია ყველა ადგილობრივი გადასახადისაგან (კანონის მიხედვით საერთაშორისო ტრასტად ითვლება ხელშეკრულება დადებული ქვეყნის არარეზიდენტებს შორის მინდობილი საკუთრების განკარგვის თაობაზე, როცა ეს საკუთრება არარეზიდენტული წარმოშობისაა და ტრასტი შექმნილია რეგისტრაციის გამტარებელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე). ადგილობრივ რეესტრში ფიქსირდება მხოლოდ საერთაშორისო სატრასტო ხელშეკრულების დადების ფაქტი, დაინტერესებული მხარეების და ტრასტის კონკრეტული საქმიანობის დეტალების ხსენების გარეშე. ერთადერთი აუცილებლობა ამ დროს არის ღერბული გადასახადი, 500-დან 1000 ამერიკულ დოლარამდე, სატრასტო ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის.

ოფშორული სატრასტო ოპერაციები ფართოდ ხორციელდება ისეთ ოფშორულ ცენტრებში, როგორიცაა კუნძულები: მენის, გერნსის, ჯერსის, ბაგამის, კვიპროსის, მალტის, აგრეთვე ლიხტინშტეინში, ჰონკონგში, მონაკოში, პანამაში და სხვა. აღნიშნულ ზონებში საერთაშორისო ტრასტების საქმიანობა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო აქტებით. რაც მთავარია, აქ მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, სოლიდური რეპუტაციით, რომლებიც ასრულებენ სანდო პირების მოვალეობას, რა თქმა უნდა, სოლიდური გასამრჯელოს ფასად. ეს გასამრჯელო დგინდება მოლაპარაკებების შედეგად და დამოკიდებულია მინდობილი საკუთრების ოდენობაზე და ტრასტში წარმოებული საქმიანობის სირთულეზე.

რიგ ქვეყნებში საკუთრებაზე და კაპიტალის ზრდაზე გადასახადები საკმაოდ დიდია, ბევრი მდიდარი ადამიანი უარს ამბობს საკუთარი აქტივობის მართვაზე და თანახმაა მიანდოს იგი ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ სატრასტო კომპანიებს, ამიტომ სწორედ ოფშორულ ცენტრებში განლაგებულ (რეგისტრირებულ) საერთაშორისო სატრასტო კომპანიების ხელში აღმოჩნდა მსოფლიოს საინვესტიციო კაპიტალის უდიდესი ნაწილი.

**ჯიმშერ ხარაბიძე**

## გაძვირდა ოქრო

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ოქროს ფასი 372 დოლარამდე გაიზარდა. ეს საკმაოდ მოულოდნელი იყო. დილერები აღნიშნავენ, რომ წლის ბოლოს კვლავ მოხდება ძვირფას ლითონებზე ფასების ტრადიციული აწევა.

აღსანიშნავია სპეციალისტების დასკვნაც. მათი განმარტებით, 1996 წლის მე-3 კვარტალში მსოფლიომ 2 პროცენტით ნაკლები ოქრო მოიხმარა 1995 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

## ... ალუმინიც

სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ლონდონის ლითონების ბირჟაზე ალუმინის ფასმა 1537 დოლარამდე აიწია. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. პირველადი ალუმინის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მსოფლიოში ალუმინის მოპოვების ტემპები მნიშვნელოვნად იზრდება. ამან, ბუნებრივია, ლითონის გაიაფება უნდა გამოიწვიოს, რეალურად კი ფასი იზრდება. უფრო მეტიც, დილერების აზრით, ღირებულება კვლავაც მოიმატებს.

## სპილენძის ფასი იმატებს

ლონდონის ბირჟაზე სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით სპილენძის ფასმა მოიმატა და 2208 დოლარს მიაღწია. მომავალში კვლავაც მოსალოდნელია იგივე ტენდენციის გაგრძელება, რადგან დილერებმა მასობრივად დაიწყეს აღნიშნული ლითონის შეძენა.

როგორც ირკვევა, ბირჟის საცავებში უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში სპილენძის მარაგი 65%-ით შემცირდა.

## ნიკელის ღირებულება მცირდება

ლონდონის ლითონების ბირჟაზე ნიკელის ფასი კვლავ დაეცა და 6945 დოლარი შეადგინა.

დილერები ამას შემდეგი ფაქტით ხსნიან. მსოფლიო ნიკელის 70 პროცენტს უჟანგავი ლითონების მწარმოებლები ყიდულობენ. ახლა კი ისინი ნაკლებად აქტიურობენ და მიწოდება მოთხოვნას ბევრად აღემატება. სპეციალისტები ფასის ზრდას მაინც მოელიან, რადგან ახალი წლის შემდეგ ისინი მაქსიმალურად დატვირთავენ თავიანთ საწარმოებს.

## ნავთობის ფასი ცვალებადია

იანვრის ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე გასული კვირის ბოლოს ნავთობის ფასი 23,78 დოლარზე გაჩერდა, კვირის დასაწყისში კი მხოლოდ 21,2 დოლარს შეადგენდა.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ერაყი შეთანხმდნენ, რომ ერაყი ნავთობის სანაცვლოდ მიიღებს სურსათს. ამ გარიგების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი და ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციები არსებობს. სპეციალისტების აზრით, სწორედ ეს საინფორმაციო ვაკუუმი იწვევს ნავთობის ღირებულების ცვალებადობას.

## ვალუტის ოფიციალური კურსები

### (დსთ და ბალტიისპირეთი)

| რესპუბლიკა (ვალუტა) | 1$ | ცვლილება | რუს.რუბ. 1000 | ცვლილება |
|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი (მანათი) | 4147.0 | 0 | 750 | +10 |
| სომხეთი (დრამი) | 435.23 | -0.87 | 78.5 | -0.05 |
| ბელორუსია (ბელ.რუბ.) | 15350.0 | -50 | 2780 | -10 |
| საქართველო (ლარი) | 1.28 | -0.0003 | 0.225 | 0 |
| ყაზახეთი (თენგე) | 71.5 | -1.05 | 13.6 | 0 |
| ყირგიზეთი (სომი) | 16.85 | -0.05 | 3.0592 | -0.0865 |
| ლატვია (ლატი) | 0.558 | -0.004 | 0.1003 | 0 |
| ლიტვა (ლიტი) | 4.0 | 0 | 0.7248 | +0.0003 |
| მოლდოვა (ლეი) | 4.6767 | 0 | 0.8456 | +0.0004 |
| რუსეთი (რუბლი) | 5517.0 | -2 | - | - |
| ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბ.) | 312.0 | -11 | 56.0 | 0 |
| თურქმენეთი (მანათი) | 4045.0 | +5 | 733.32 | +3.58 |
| უკრაინა (გრივნა) | 1.881 | -0.001 | 0.341 | -0.001 |
| უზბეკეთი (სუმი) | 51.0 | 0 | 9.25 | +0.01 |
| ესტონეთი (კრონა) | 12.4828 | +0.0388 | - | - |

## მყარი ვალუტის კურსები

| | აშშ | ინგლ. | შვეიც. | 100 იაპ. | 1000 იტალ | გერმ. | ფრანგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფრანგული ფრანკი | 5.2646 | 8.6676 | 3.9942 | 4.6718 | 3.4383 | 3.3788 | - |
| გერმანული მარკა | 1.5581 | 2.5653 | 1.1822 | 1.3827 | 1.0176 | - | 0.2960 |
| იტალიური ლირა | 1531.2 | 2520.9 | 1161.7 | 1358.8 | - | 982.69 | 290.85 |
| იაპონური იენა | 112.69 | 185.53 | 85.498 | - | 73.597 | 72.323 | 21.405 |
| შვეიცარ. ფრანკი | 1.3180 | 2.1700 | - | 1.1696 | 0.8608 | 0.8459 | 0.2504 |
| ინგლისური გირვ. | 0.6074 | - | 0.4608 | 0.5390 | 0.3967 | 0.3898 | 0.1154 |
| აშშ დოლარი | - | 1.6464 | 0.7587 | 0.8874 | 0.6531 | 0.6418 | 0.1900 |

## ძირითადი საბირჟო საქონლის ფასები მსოფლიო ბაზარზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ოქრო ($ უნც) | 372.50 | ნავთობი ($ ბარელი) | 23.78 |
| ალუმინი ($ ტ) | 1537.0 | ხორბალი | |
| სპილენძი ($ ტ) | 2208 | (ინგ.გირვ. ტ) | 96.25 |
| ნიკელი ($ ტ) | 6945 | თეთრი შაქარი ($ ტ) | 297.70 |

# ღმერთო წამაქციე... და ფული მომეცი

კაცს თუ ღმერთი სწყალობს, ეშმაკი რას დააკლებს, თორემ მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ევანდერ ჰოლიფილდთან პაექრობისას რინგზე ნოკაუტით გაგორებულ (სურათზე სწორედ ამ მომენტს ხედავთ) მაიკ ტაისონს შინიდან თავი არ გამოეყოფოდა. ის კი არხეინად დადის და კვლავ მუშტებზე იყურება რევანშის წყურვილით ანთებული. რატომაც არა. ტაისონი რინგზე წაიქცა თორემ, ფეხზე მყარად დგას და კვლავ პირველია თავისი...შემოსავლებით.

იგი მართლაც პირველია ძვირადღირებულ სპორტსმენებს შორის. 1996 წელს მაიკ ტაისონმა 75 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და თავისი 52 მილიონიანი შემოსავლით მეორე ადგილზე "გადასვა" პოპულარული ამერიკელი კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი. თანაც ტაისონმა მილიონები რინგზე გამოიმუშავა, რინგს გარეთ კი ერთი გროშიც არ აულია მაშინ, როცა "ჩიკაგო ბულზთან" კონტრაქტის მიხედვით ჯორდანმა მიიღო მხოლოდ 12,6 მილიონი, დანარჩენი 40 მილიონი დოლარი ჯორდანს პროდუქციის რეკლამისათვის ფირმა "ფორბსმა" გადაუხადა.

ისე ეტყობა, რომ ჯორდანი კვლავ დაიბრუნებს პირველობას. მან ახლახან, რა გასაკვირიც უნდა იყოს, ერთადერთი ცოცხალი არსების როლი ითამაშა ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან გახმაურებულ და საყოველთაოდ აღიარებულ მულტიპლიკაციურ ფილმში Spase Jam, საიდანაც ჰონორარად 8 მილიონს ელოდება.

ჰონორარის სიდიდით მესამეა გერმანელი ავტომრბოლი მიხაელ შუმახერი. იგი 33 მილიონს იღებს. სხვათაშორის მიხაელი ერთადერთი ევროპელია მსოფლიოს უმდიდრეს სპორტსმენთა ათეულში.

ტაისონის შემარცხვენელი ევანდერ ჰოლიფილდი ამ ათეულში მეექვსე ადგილზეა. მან რეკლამით მხოლოდ ნახევარი მილიონი მოაგროვა, რინგზე კი 15, რომელთაგან 13 მილიონი სწორედ ტაისონთან ორთაბრძოლისათვის მიიღო.

თუ ისინი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, მაშინ ტაისონს დიდი ჰონორარის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამჯერად ჰოლიფილდის ჯიბე გასქელდება.

უდიდეს სპარეზანთა ათეულის ბოლოში დგას კალათბურთელი ("ნიუ-იორკ ნიქსი") პატრიკ იუინგი - 12,4 მილიონი დოლარით. აქედან რეკლამებისაგან მიღებული შემოსავალი 1,5 მილიონია, დანარჩენი იუინგმა მოედანზე იშოვა.

ათეულში 9 ამერიკელის ყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ქვეყანა მდიდარია შეძლებული ადამიანებით, რომლებსაც ფულის ხარჯვა არ უჭირთ. აქ მუქთად ფულს არავინ იძლევა. თითოეული სპორტსმენის მიერ მიღებული დოლარი უმკაცრესი სპორტული რეჟიმის, არაქათგამომცლელი ვარჯიშისა და ასპარეზზე არაადამიანური თავგამოდების საზღაურია.



# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თარაზულად:** 2. მისტიკური მიმდინარეობა, რომლის მიმდევრებსაც სწამთ სულების არსებობა. 7. პირადი საქმე. 8. სოფელი ლენინგორის რაიონში. 9. ძლიერი გატაცება რამეთი, - თავდავიწყება. 10. მოხეტიალე მებრძოლი, ბედის მაძიებელი. 13. თევზი ვირთევზასებრთა ჯიშისა. 15. საფრანგეთის მეფეთა სახელი. 16. ამერიკელი დრამატურგი. 17. ფენა, რომელიც კრედიტად გაცემული ფულის სარგებლით ან ფასიანი ქაღალდებით მიღებული შემოსავლით ცხოვრობს. 19. ადამიანი, რომელიც ადამიანის ხორცით იკვებება. 20. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, თამბაქოს გვარის, ძაღლთყურძენისებრთა ოჯახისა. 21. დასრულებული ვოკალური ეპიზოდი, რომელსაც მომღერალი ორკესტრის თანხლებით ასრულებს. 22. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი. 24. პატარა ჭრელი მგალობელი ჩიტი. 27. ნოტა. 28. რომის პროვინცია. 30. მლაშე გემოს თეთრი ან მოლურჯო კრისტალური ნივთიერება; იხმარება საჭმლის შესაზავებლად. 32. ბარათაშვილის ერთ-ერთი ლექსი. 33. ქალაქი აფრიკაში. 35. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 38. ქართული კომედიური თეატრის გმირი. 40. მოვერცხლისფრო ლითონი. 41. ქალაქი საფრანგეთში. 42. ძვირფასი ქვა - გამჭვირვალე და ძალიან მაგარი. 46. მსხვილი კეტი, ხმარობენ სიმინდის, ლობიოს დასაცეცხვად და სხვ. 47. ცხენების ჯოგი. 49. მაგარი, ბოლოში წაწვეტებული ძვლოვანი წამონაზარდი ზოგი ცხოველის თავის ქალაზე. 50. შტატი ჩრდილო დასავლეთ ბრაზილიაში. 51. ღამის მტაცებელი ფრინველი; აქვს დიდი თავი, დიდრონი თვალები და მოგრძო, მოკაუჭებული ნისკარტი. 52. ამერიკელი მწერალი. 53. გაზაფხულის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს მოწითალო-ლურჯ თავდახრილ, სურნელოვან ყვავილს.

**შვეულად:** 1. ორწლიანი ბოსტნეული მცენარე ჯვაროსანთა ოჯახისა, მისი ძირი იჭმება. 2. ფერწერა მშრალ ბათქაშზე. 3. დაზვერვის წარმომადგენელი, რომელიც ცხოვრობს უცხო სახელმწიფოში. 4. დახლართული, დაძაბული სიტუაციების შექმნაში ხელშემწყობი პირი. 5. ბოჭკოვანი ქსოვილი, რომელიც აერთებს ჩონჩხის ცალკეულ ნაწილებს, სხეულის ცალკეულ ორგანოებს. 6. ქართული უზენაესი წარმართული ღვთაება. 11. ქალაქი გერმანიაში. 12. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების პერსონაჟი. 14. ქალაქი ჩინეთში მდინარე იანძის მარჯვენა ნაპირზე. 16. ძველი ხალხური თქმულება ქვეყნის წარმოშობაზე, ღმერთებზე და ლეგენდარულ გმირებზე. 18. შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი; სარკმლისა და საკვამურის დანიშნულება აქვს. 23. ეშმაკობა, ხრიკი, ფანდი, თვალთმაქცობა. 24. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 25. ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ფინეთში. 26. ზღაპრული გმ 27. ფეხბურთის ბრაზილიელი ვარსკვლავი. 29. მრგვლად გამოთლილი, გამოხარატებული ხის პატარა სვეტი ან ფიგურებიანი ფიცარი; უკეთებენ მოაჯირს, ზოგ ავეჯს და სხვ. 31. ფრანგი მწერალი, აკადემიის წევრი. 33. მცირე ზომის დასურათებული წიგნი. 34. ცნობილი ამერიკული საკონდიტრო კონცერნი. 36. რუსი მსახიობი, რეჟისორი, პედაგოგი. 37. ძველი ბერძნული ქალაქი ელიდაში, რელიგიური ცენტრი. 39. სცენის განათების მოწყობა. 43. გარეული ცხოველის, ნადირის სადგომი, - მიწაში გათხრილი ხვრელი. 44. ადამიანი, რომელსაც სმენა არ გააჩნია. 45. მარადმწვანე მცენარე; მოჰყავთ მისი ფოთლებისათვის.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 2. პარალელოგრამი. 9. კალორია. 10. კოლხეთი. 11. უდე. 12. სირია. 14. ქიმია. 16. კიევი. 17. ისტორია. 19. როსტომი. 21. ცარცი. 23. დრამა. 24. ტყავი. 26. ამირა. 27. ილაო. 28. ორბი. 29. ერა. 32. არი. 33. იმპოტენცია. 35. იოდი. 38. ტიკი. 40. არქი. 41.აბმა. 42. ბიზანტია. 43. ვირჯინია.

**შვეულად:** 1. ნოკაუტი. 3. ანოდი. 4. ამინი. 5. ლონდრე. 6. რიონი. 7. მუხტი. 8. კრიზისი. 12. სიტუაცია. 13. აკაცია. 14. ლირიკა. 15. ანომალია. 18. რიაზანი. 20. სატურნი. 22. რაიხსტაგი. 23. დუშეთი. 25. ირტიში. 30. აპრილი. 31. ანგარი. 34. ატამი. 36. ოინი. 37. იარა. 39. კოდი.

# არჩევანი მე, არადანი - შენ.

## კოშტას თავისი ცხვირი თურმე მილიონი უღირს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მორიგ ტურში იტალიის "მილანისა" და პორტუგალიის "პორტოს" მატჩის დამთავრების შემდეგ გასახდელთან კეთილშობილებითა და ქველმოქმედებით ცნობილ "მილანის" თავდამსხმელს ჯორჯ ვეას თავშეკავებამ უმტყუნა და სახეში თავი ჩაარტყა "პორტუს" მცველს ჟორჟე კოშტას. ეს უკანასკნელი, როგორც ვეას კეთილისმყოფელები ამტკიცებენ, მთელი თამაშის განმავლობაში ცდილობდა ფორვარდის წონასწორობიდან გამოყვანას.

ვეას თვით ფიფას პრეზიდენტი ჟოაო აველანჟიც გამოესარჩლა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ტექნიკურმა კომისიამ ვეას დისკვალიფიკაცია მისცა, "პორტუს" კლუბმაც უარი თქვა სარჩელზე, მაგრამ... კოშტას ცხვირი გატეხილი აღმოაჩნდა და ექიმებმა მას ერთი თვით თამაში აუკრძალეს. ამით აღშფოთებულმა პორტუგალიელმა ვეას სასამართლოში უჩივლა, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფის საზღაურად მისგან ერთი მილიონი დოლარი მოითხოვა.

## ექვსი ბომბარდირი

ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფური ტურნირის დამთავრების შემდეგ ბომბარდირთა სიას ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი ჩაუდგა. ესენი არიან სიმეონე და პანტიჩი (ორივე „ატლეტიკოში“ თამაშობს), სიმონე („მილანი“), ჟარდელი და არტური („პორტუ“), ბოკშიჩი („იუვენტუსი“). თითოეულმა მათგანმა 4-4 გოლი გაიტანა და ყველას აქვს შანსი ამ მაჩვენებლის გაზრდის გარდა სიმონესი, რომლის გუნდი „მილანი“ უკვე გამოეთიშა ასპარეზობას.

## გერმანიასა და ჰოლანდიაში...

ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი გაიმართება 1997 წლის 28 მაისს მიუნხენის ოლიმპიურ არენაზე, ხოლო თასების მფლობელთა თასის მაძიებელი ფეხბურთელები 14 მაისს იასპარეზებენ როტერდამში "ფეიენოორდის" სტადიონზე. ასეთია უეფას საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობა უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა.

## ყველა თამაში მოიგეს

ამსტერდამის "აიაქსმა" და პორტუგალიის "პორტუმ" ლიგის თასის ჯგუფურ ტურნირში ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს და თავისებური რეკორდიც დაამყარეს - ყველა გასვლითი თამაში მოიგეს.

## ტურნირი დაუმარცხებლად...

იმავე "პორტუმ" და "ბებერ ქალბატონად" მონათლულმა ტურინის "იუვენტუსმა" ჯგუფური ტურნირი უდანაკარგოდ გაიარეს, 6-დან 5 მატჩი მოიგეს და მხოლოდ თითო თამაში დაამთავრეს ფრედ.

## კომისარიც ადამიანია და ნერვები ღალატობს

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კოსტა-რიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა დაამარცხა (2:1) ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. ამ გამარჯვებით გახარებულმა კოსტა-რიკელმა გულშემატკივარმა სახეში ლუდი შეასხა მატჩის კომისარს კანადელ ჯიმ ფლემინგს, რომელსაც ნერვებმა უმტყუნა და შეურაცხმყოფელს სამაგიეროდ სილა გააწნა.

ახლა კოსტა-რიკის ფეხბურთის ფედერაცია იმაზე ფიქრობს, უჩივლოს თუ არა სასამართლოში კანადელს, რომელმაც ათასობით კაცის თვალწინ აღგზნებული მაყურებელი გალახა.

კოსტა-რიკელებს, ეტყობა, ავიწყდებათ, რომ კომისარიც ადამიანია და შეიძლება ნერვებმა მასაც უმტყუნოს.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.
„მესაკუთრე“ რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერია 5/4-909.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. ღედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. ღედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.12.96წ.

მესაკუთრე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოში“ მ.კოსტავას ქ. №14

სარედაქციო კოლეგია